საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია

მთავარ კომიტეტის ორგანო

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 45,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 150,000 მ.; უკანასკნელზე 100,000 მ. კანტორა ღია ღილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—85.

ფასი 5000 მან.

№ 176

შაბათი, მარტის 25

1922 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველდღიური გაზეთი

ტრიბუნა

ორგანო მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის მთავარი კომიტეტისა.

1922 წლის 1 იანვრიდან თვეში გაგზავნით ღირს 120,000 მანეთი.
ცალკე ნომერი ყველგან 5000 მანეთი.

უფასოდ გაზეთი აღარავის გაეგზავნება.

ხელის მოწერა მიიღება თვის 1 რიცხვიდან,

რედაქციის და კანტორის მისამართი: ტფილისი, სასახლის ქ. № 6.

ღრმად დამწუხრებულნი: სერგო იაკობის ძე და სოფიო ივანეს ასული კახეთელიძე, ბებია პელაგია, დები: ვარა და ტასო, ძმა ვალოდია აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი—პირველთათვის ძვირფასი შვილი, ხოლო დანარჩენთა შვილისშვილი და და მე-7 გიმნაზიის მე-4 კლასის მოწაფე

ლიდია კახეთელიძე

მიცვალებულის გამოსვნება მოხდება კვირას, 26 მარტს საკუთარ ბინიდან (გრიბოედოვის ქ. № 15 დილის 10 საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, სადაც გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი, დაკრძალვა მოხდება წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში (ვერაზე). პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე. № 236

შაბათს, 25 მარტს, საღამოს 6 საათზე,
ქალაქის აღმასკომის შენობაში

მეესდგება
ტფილისის აღმასრულებელი
კომიტეტის სხდომა.

ვინაიდან გასარჩევია ფრიად საჭირო და გადაუდებელი საკითხები, ამისათვის ყველა წევრების დასწრება საგალდებულოა.

დაიბეჭდა და იყიდება

ლეძსები. მეოთხე ტომი.

ი. გრიშაშვილი

ქ. შ. წ.-კ. მაღაზიაში.
განათლების კანტორაში.
სტუდენტთა კოო—ში.

გენუას კონფერენციის წინ

გენუას კონფერენციის წინ საყურადღებო დემონსტრაციები იმართება. საბჭოთა რუსეთის გარშემო, თითქმის ყოველ მის საზღვრებთან, რაღაც არა კეთილშობილური მოქმედებას აქვს ადგილი. ოფიციალური და არა ოფიციალური ცნობები საზღვარგარეთიდან გადმოგვცემენ, რომ ევროპის იმპერიალისტები დიდ გეგმებს აწყობენ რუსეთის კონტრ-რევოლიუციონერებთან ერთად საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. კარლიკული სახელმწიფოები, ფინეთიდან დაწყებული ბალტიკისა, ადრიატიკისა და შავი ზღვის სანაპიროებზე მოსახლე წვრილი და მსხვილი ხეხრეები, რაღაც კონვენციებით ეკვრიან ერთი მეორეს და საბჭოთა რუსეთის საწინააღმდეგ. ამ ორმა ორგანიზმს წარმოადგენს, მისი ნაწილების დაშორება ერთი მეორისაგან და დამოუკიდებელის საშუალებით არსებობა შეუძლებელია თავის თავად. მსოფლიოს ნაწილების მუდმივი და შეურყეველი კავშირი, აი რას მოითხოვს ეკონომიური ცხოვრების წარმატება, მისი მომავალი.

ეს გარემოება ნათლად შეიგნო მსოფლიოს მებრძოლმა ძალებმა: როგორც საბჭოთა რუსეთმა, ისე კაპიტალისტურმა ევროპამ გარკვევით დაინახეს, რომ ერთმანეთად მათი არსებობა ხანგრძლივად ყოველად შეუძლებელი შეიქმნა. საერთაშორისო ცხოვრების ვითარებამ და იმ შედეგებმა, რომელიც მოიტანა იზოლიაციის პოლიტიკამ მსოფლიო ეკონომიური კატასტროფის წინაშე დაყენა ვერსალის საზავო კონფერენციამ და მისმა ხელშეკრულებამ მსოფლიო დოვლათის განაწილების საქმეში უდიდესი როლი ითამაშა. ვერსალი კი გამომხატველი იყო ერთის მხრით ომში გამარჯვებულ სახელმწიფოებისა და მეორეს მხრით კი ამავე ბრძოლაში დამარცხებულ ქვეყნების. ვერსალში დამარცხებულ მხარეებს იარაღით ხელში ყოველგვარი უფლებები ახადეს და გამარჯვებულებმა თავისი ინტერესების შეფარდებით გამოიმუშავეს საზავო ხელშეკრულობა. მაგრამ ასეთს საფუძველზე აგებულმა საზავო პირობებმა ვერ გააჯანსაღა მსოფლიოს ეკონომიკა და კაცობრიობა ვერ გამოიყვანა იმ ქუჩაბანდიდან, რომელშიაც იგი მოექცა საერთაშორისო ომის წარმოების მიზეზებით. წინაღმდეგ, მან ხელი შეუწყო კრიზისების გაღრმავებასა და უფრო გაფართოებას.

ამ გარემოებამ გამოიწვია ძველი პოლიტიკის რევიზიის მოხდენა და მისი თანამედროვე პირობებთან შეფარდება. თანამედროვე ინტერესები და საშუალებები კი დაჟინებით მოითხოვდა მსოფლიოში მომქმედ ძალთა შეთანხმებულს მოქმედებას, ერთი გარკვეული გეგმის და პლატფორმის გამომუშავებას. ეს პირობები გარკვევით შეიგნო საბჭოთა რუსეთმა და ჯერ კიდევ 1919 წლის დასაწყისში, მაშინ, როდესაც გარს შემორტყმული ჰქონდა რუსული კონტრ-რევოლიუციის გამანადგურებელი რკალი და იმპერიალისტური ქვეყნების მდგომარეობა გაცილებით უკეთესი იყო, მიჰქართა მსოფლიოს ყველა სახელმწიფოებს საერთაშორისო მშვიდობიანობის ჩამოგდების შესახებ. მაგრამ მაშინ გამარჯვებით დამთვრალმა ევროპამ ტანკებითა და ტყვიებით უპასუხა საბჭოთა რუსეთს და რუსული კონტრ-რევოლიუციის დახმარებით სცდილობდა ძუშურ-გლეხური რესპუბლიკის განადგურებას და მთელი რუსეთის თავისი კოლონიად გადაქცევას. მაგრამ მაშინ-ღელი მდგომარეობა დღეს-დღეობით არსებითად შეიცვალა. დღეს სულ ახალი ფაქტორები და მოვლენები დაიბადნენ მსოფლიოს ცხოვრებაში, ეს ახალი მომენტები დაჟინებით მოითხოვენ ახალი პოლიტიკის წარმოებას, ახალი საერთაშორისო კურსის შედეგებს, რომლის შინაარსი მსოფლიოში მომქმედ ძალების შეთანხმებულ მოქმედებაში უნდა გამოიხატოს. ამ საერთო შევნების ფონზედ აღმოცენდა გენუას კონფერენციის მოწვევის აზრი. ამ კონფერენციაზე ერთი-მეორეს წინაშე უნდა წარსდგნენ და ერთი მაგიდის გარშემო საერთო გეგმები უნდა გამოძებნონ გუშინდელმა მოსისხლე მტრებმა. გენუა ლოდიკური დასკვნა არის იმ ცვლილებისა, რომელიც მოხდა საერთაშორისო ცხოვრების წიაღსა და პოლიტიკის სფეროში. ცხოვრებას თავისი გარკვეული ლოდიკა აქვს და ამ ლოდიკას ბოლოს და ბოლოს უნდა დაემორჩილოს სუსტიც და ძლიერიც ამა სოფლისა.

გენუა ათასგვარს წარმოდგენებს ჰქმნის, ათასგვარ პერსპექტივებს უშლის სხვა და სხვა ჯურის პოლიტიკოსებს, მაგრამ მისი დირებულება გამოურკვეველი დარჩება, თუ არსებითად არ შეისწავლეთ და არ გამოვარკვიეთ ის მიზეზები, რომელმაც წარმოშვა გენუას კონფერენციის მოწვევის აზრი, ეს მიზეზები კი მთელი თავისი სიძლიერით მარხია მსოფლიოს ეკონომიური ცხოვრების სიღრმეში, რომელიც გარკვეულად მიმართავს ძალებს საერთაშორისო პოლიტიკას. მსოფლიო ეკონომიკის აღდგენა, მისი განახლება და ცალცალკე სახელმწიფოების წარმატება შეუძლებელია გათიშვის, იზოლიაციის გზით, რომ მათი ინტერესები მოითხოვს შეთანხმებას, ერთი გარკვეული სამოქმედო გეგმის შემუშავებას, აი რა უდევს საფუძვლად გენუას კონფერენციას.

დღეს ევროპის კაპიტალისტები და პოლიტიკოსები იმის მსჯელობაში არიან, თუ რთგორის გეგმებითა და შინაარსით შეუდგნენ საბჭოთა რუსეთთან და გერმანიასთან საერთო მოქმედებას. ამ მსჯელობამ და აზრთა გაცვლა-გამოცვლამ ანტანტის მოკავშირეთა შორის ისეთი ძწვავე ხასიათი მიიღო, რომ რამოდენიმე საყურადღებო ცვლილება გამოიწვია ევროპის სახელმწიფოთა მთავრობებში. დღეს არ არის ეს აზრთა გაცვლა-გამოცვლა დამთავრებული, მაგრამ იგი ერთი გარკვეულის ხასიათი იქმნება. მან უნდა გადასწყვიტოს საბჭოთა რუსეთთან ურთი-ერთობის საკითხი.

რასაკვირველია, საბჭოთა რუსეთთან თუ გინდ გენუაში შეთანხმება არ ნიშნავს ევროპის კაპიტალისტების მხრით ხელის აღებას მუშურ-გლეხური რესპუბლიკის წინააღმდეგ ბრძოლაზე, ხელის აღებას სამუდამოდ. ჩვენ არა ერთხელ აღვნიშნავს, რომ მსოფლიოში ორი დიამეტრალური საწინააღმდეგო ქვეყნების არსებობა შეუძლებელია მუდმივად, რომ მათი ინტერესები და გეგმები ხანგრძლივი დროით ვერ მოთავსდებიან და ბოლოს და ბოლოს უფრო სუსტმა ადგილი უნდა დაუთმოს უფრო ძლიერს. მაგრამ შეთანხმება შესაძლებელი ხდება დროებით და გენუას აზრიც სწორედ აქ არის.

დღევანდელი ამოძრავება მსოფლიოს კონტრ-რევოლიუციონური ძალებისა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ იმ საერთო აზრიდან გამომდინარეობს, რომელიც გვეუბნება, რომ იმპერიალისტური ევროპა არ მისცა მს მოსვენებას და ყოველ პირობებში ეცდება ხელი შეუშალოს ახალი თავდასხმებით საბჭოთა რუსეთს. დღევანდელი ამოძრავებაც და გეგმებიც ამ საერთო აზრის რეალიზაციაა. მაგრამ მას ერთი მომენტიც ახასიათებს. ის ერთგვარი პოლიტიკური და საერთო დემონსტრაციაც არის გენუას წინ. ამ დემონსტრაციას ერთი გარკვეული აზრი აქვს: საბჭოთა რესპუბლიკების საზღვრებზე გართულებული მდგომარეობის შექმნით ანტანტას სურს გენუაში მაქსიმუმი შეთანხმებისა თავის სასარგებლოდ გამოსტყუოს საბ. რუსეთს. აი ამ პოლიტიკური მიზნით აღოძრავდა ევროპის გაქნილი დიპლომატია გენუას კონფერენციის წინ და სცდილობს რუსეთს ისეთი გამწვავებული პირობები შეუქმნას, რომელიც აიძულებს მას ზედმეტი დათმობის გაღებაზე. ამ გეგმით ამოძრავეს შავი რეაქციის მოცარულები, კარლიკური სახელმწიფოები, გვირგვინ ახდილი გენერლები და მეფის ჯალათები; ამ პოლიტიკური მოსაზრებით შექმნეს გეგმები რუსეთზე ახალი თავდასხმებისა. ახ დაგვეთანხმა ჩვენს წინადადებაზე, ჩვენ. პირობებზე და შემოდი ჩვენს კავშირში ზედმეტი დათმობით, წინაღმდეგ შემთხვევაში მიიღე ახალი ომები და ახალი კონტრ-რევოლიუცია.

ევროპის დიპლომატების დღევანდელი დემონსტრაციები, პოლიტიკური აზრი და შინაარსი ყველასათვის ნათელი უნდა იყოს. მას სურს გენუაზე რიხიანი ენით ილაპარაკოს, როგორც გამარჯვებულმა და შედარებით უკეთეს პირობებში მყოფმა მხარემ. ამ პირობებს მას შეუქმნის ახალი დემონსტრაციები. სხვა მხრივ მას არ შეუძლია ილაპარაკოს მედიდურ ტონით.

მაგრამ ანტანტის მესვეურნი ანგარიშებში მოსტყუვდნენ. დღევანდელი საერთაშორისო პირობები არ ჰქმნის ისეთს ძალას, რომელსაც შეეძლოს რაიმე რეალური საფრთხე გენუაზედოს საბჭოთა რუსეთს. არც ინტერვენცია და არც შინაური აჯანყება არ წარმოადგენს საბჭოთა რუსეთისათვის ისეთს საფრთხეს, რომლის წინაშე მან ქედი უნდა მოიხაროს. ვინაიდან არც ერთი ეს საშუალება რეალურად ვერ მიაღწევს მიზანს; ეს ძალები დღეს უძლურნი არიან რაიმე მოქმედება აწარმოონ რუსეთის წინაღ დგ.

ანტანტის დემონსტრაცია მხოლოდ დემონსტრაციად დარჩება გენუას კონფერენციის მოწვევის წინ.

საბჭოთა ხელისუფლებებმა ნათლად და გარკვევით განაცხადეს, თუ რის დათმობა შეუძლიათ და როგორ პირობეში შეიკვრებიან მოწინააღმდეგეებს. კონფერენციისათვის მათ გარკვეული პროგრამა აქვთ, რომლის გადახვევა და არც ისე ადვილი საქმეა. აქ ისმება ის ხაზი, რომლის გადალახვა არ შეუძლია საბჭოთა დიპლომატებს. ეს ყველასათვის გასაგონად ადიარა ამბ. ლენინმა მელიტონეთა ყრილობაზე და ამით პოლიტიკური შინაარსი გამოარკვია იმ მოლაპარაკების, რომელიც მოსალოდნელია მოხდეს გენუაში.

მაგრამ თუ გენუასთვის არის ნაკლი პროგრამა, არც დემონსტრაციები არის უყურადღებოდ მიტოვებული და ოთხი წლის ბრძოლის ქარცეცხლში გაკაჟებული წითელი არმია მედგრად სდგას საბჭოთა რესპუბლიკების საზღვრებზე ყოველგვარ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად.

სიმ. ხუნდაძე.

პროლეტარიატის დიქტატურა და საქართველოს სინამდვილე

3.

ჩემმა წერილმა, რომელიც მოთავსებული იყო „ტრიბუნის“ 16 მარტის ნომერში ამა სათაურით, გამოიწვია ამ. კ. კომუნაძის პასუხი (იხ. „კომუნისტის“ № 64).

როგორც ეტყობა, ავტორს დიდი ყოყმანი დასჭირვებია, ვიდრე კალამს ხელს წამოავლებდა, რადგან მის წინაშე როგორც გვეუბნება „გადაუდებელი პრაქტიკული ამოცანები“ ყოფილა დასმული, მაგრამ მაინც გადაუწყვეტია ხელი შეახოს „ძველ დაობებულ არქივიდან გამოქექილ მსჯელობას“, თუმცა ამის სრულ პასუხისმგებლობასაც ვერ კისრულობს და მკითხველს მისამართს უწერს, რომ ყოველივე იხილონ „ორტოდოქსალურ მარქსისტებსა და „ნაროდნიკების“ შორის წარმოებულ ბრძოლაში“,

მიუხედავად ასეთი ყოყმანისა, მაინც გაუნებებია პრაქტიკული საქმეებისათვის თავი და ფრიად ვრცელი წერილი დაუწერია.

როდესაც ავტორს რაღაც „გადაუდებელი პრაქტიკული ამოცანები“ მოყავს თავის წერილში და ამით დისკუსია ამა თუ იმ მოვლენის შესახებ ფრიად თავს აწყენს, ჩვენ ნეტარ ხსენებული მენშევიკები გვაგონდება. მენშევიკებისთვისაც ასეთი არგუმენტი არსებობდა ჩვენს წინააღმდეგ და ბოლშევიკებს როგორც საერთოდ ისე ამ მხრივაც მათი ანტიპოდი თვისება, რომ ჰქონდეთ ფრიად კარგი იქნებოდა.

მაგრამ დაუბრუნდეთ წერილის დედა აზრს და ჩვენი „არქივიდან გამოქექილი მსჯელობით“ შევადოთ ამხანაგ კ. კომუნაძის ახალი გამოფენის კარები.

პირველი დებულება, ასე ვსთქვათ ბრალდება, რომელსაც აყენებს ამბ. კ. კომუნაძე მდგომარეობს მასში, რომ მარქს-ენგელსის მოძღვრება სასოფლო მეურნეობის შესახებ დავამახინჯეთ. იგი სწერს „ავტორის მტკიცება, რომ ვითომც მარქსის მოძღვრების მიხედვით სასოფლო-სამეურნეო ინდუსტრიის განვითარებაც ისეთივე ტემპით და ხასწორით სწარმოებს, როგორც ქალაქის ინდუსტრიის, არ შეეფერება სიმართლეს და მისგან ძალიან შორსაა დაცილებული“.. „ასეთ მტკიცებას პოლიტიკურ არა სინდისიერობის სუნი უდის“.

განვიხილოთ ამბ. კ. კომუნაძის ლიტონი განცხადება და გამოვარკვიოთ, თუ როგორი სუნი უდის მის დებულებას.

ჩვენ ვამბობდით, რომ მარქსის თვალსაზრისი, რომელიც ეყრდნობოდა კაპიტალის კონცენტრაციის ტენდენციას, აგებული იყო მხოლოდ მსხვილ წარმოებაზე და მას არ ქონდა გათვალისწინებული სასოფლო-მეურნეობის სპეციფიური ხასიათი, სადაც კაპიტალის კონცენტრაცია ისეთივე ტემპითა და სისწორით კი არა, არამედ თითქმის მის საწინააღმდეგო პროცესად ისახება. ჩვენ ავდვიშნავდით, რომ ასეთ გაგებაზედ აგებული კლასთა თეორია, ცხოვრებამ დაამარცხა-თქო.

როგორც ვიცით, ამ ეამად გენუას კონფერენციის მოწვევის პროცესში ვიმყოფებით.

ჩვენი გაზეთის ფურცლებზე არა ერთხელ იყო აღნიშნული ამ კონფერენციის მოწვევის მიზეზები და მიზნები. გენუა გამოწვეულია საერთაშორისო მდგომარეობით და იმ პირობებით, რომელიც შეიქმნა მსოფლიოში მომქმედ ძალთა შორის.

როგორც ვიცით, მსოფლიოში გარკვეული გეგმებითა და მიზნებით ერთი მეორეს დაუპირდაპირდა ორი ძალა, ორი საერთაშორისო ფაქტორი, რომელთა ინტერესები ძირიანად ეწინააღმდეგებოდა ერთი მეორეს. ამ ორმა მსოფლიომ დამოუკიდებლად მოინდომა თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესება და იზოლიაციის გზით შეუდგა თავისი არსებობის განმტკიცებას. მაგრამ ცხოვრების შემდეგმა მსვლელობამ დაგვანახვა, რომ ეს გზა დამდუპველი იყო კაცობრიობისათვის, რომ იზოლიაციის გზით ეკონომიური ცხოვრების აღდგენა და განახლება შეუძლებელი შეიქმნა; მსოფლიო ერთს მთლიან ეკონომიურს ორგანიზმს წარმოადგენს, მისი ნაწილების დაშორება ერთი მეორისაგან და დამოუკიდებელის საშუალებით არსებობა შეუძლებელია თავის თავად. მსოფლიოს ნაწილების მუდმივი და შეურყეველი კავშირი, აი რას მოითხოვს ეკონომიური ცხოვრების წარმატება, მისი მომავალი.

ეს გარემოება ნათლად შეიგნო მსოფლიოს მებრძოლმა ძალებმა: როგორც საბჭოთა რუსეთმა, ისე კაპიტალისტურმა ევროპამ გარკვევით დაინახეს, რომ ერთმანეთად მათი არსებობა ხანგრძლივად ყოველად შეუძლებელი შეიქმნა. საერთაშორისო ცხოვრების ვითარებამ და იმ შედეგებმა, რომელიც მოიტანა იზოლიაციის პოლიტიკამ მსოფლიო ეკონომიური კატასტროფის წინაშე დაყენა ვერსალის საზავო კონფერენციამ და მისმა ხელშეკრულებამ მსოფლიო დოვლათის განაწილების საქმეში უდიდესი როლი ითამაშა. ვერსალი კი გამომხატველი იყო ერთის მხრით ომში გამარჯვებულ სახელმწიფოებისა და მეორეს მხრით კი ამავე ბრძოლაში დამარცხებულ ქვეყნების. ვერსალში დამარცხებულ მხარეებს იარაღით ხელში ყოველგვარი უფლებები ახადეს და გამარჯვებულებმა თავისი ინტერესების შეფარდებით გამოიმუშავეს საზავო ხელშეკრულობა. მაგრამ ასეთს საფუძველზე აგებულმა საზავო პირობებმა ვერ გააჯანსაღა მსოფლიოს ეკონომიკა და კაცობრიობა ვერ გამოიყვანა იმ ქუჩაბანდიდან, რომელშიაც იგი მოექცა საერთაშორისო ომის წარმოების მიზეზებით. წინაღმდეგ, მან ხელი შეუწყო კრიზისების გაღრმავებასა და უფრო გაფართოებას.

ამ გარემოებამ გამოიწვია ძველი პოლიტიკის რევიზიის მოხდენა და მისი თანამედროვე პირობებთან შეფარდება. თანამედროვე ინტერესები და საშუალებები კი დაჟინებით მოითხოვდა მსოფლიოში მომქმედ ძალთა შეთანხმებულს მოქმედებას, ერთი გარკვეული გეგმის და პლატფორმის გამომუშავებას. ეს პირობები გარკვევით შეიგნო საბჭოთა რუსეთმა და ჯერ კიდევ 1919 წლის დასაწყისში, მაშინ, როდესაც გარს შემორტყმული ჰქონდა რუსული კონტრ-რევოლიუციის გამანადგურებელი რკალი და იმპერიალისტური ქვეყნების მდგომარეობა გაცილებით უკეთესი იყო, მიჰქართა მსოფლიოს ყველა სახელმწიფოებს საერთაშორისო მშვიდობიანობის ჩამოგდების შესახებ. მაგრამ მაშინ გამარჯვებით დამთვრალმა ევროპამ ტანკებითა და ტყვიებით უპასუხა საბჭოთა რუსეთს და რუსული კონტრ-რევოლიუციის დახმარებით სცდილობდა ძუშურ-გლეხური რესპუბლიკის განადგურებას და მთელი რუსეთის თავისი კოლონიად გადაქცევას. მაგრამ მაშინ-ღელი მდგომარეობა დღეს-დღეობით არსებითად შეიცვალა. დღეს სულ ახალი ფაქტორები და მოვლენები დაიბადნენ მსოფლიოს ცხოვრებაში, ეს ახალი მომენტები დაჟინებით მოითხოვენ ახალი პოლიტიკის წარმოებას, ახალი საერთაშორისო კურსის შედეგებს, რომლის შინაარსი მსოფლიოში მომქმედ ძალების შეთანხმებულ მოქმედებაში უნდა გამოიხატოს. ამ საერთო შევნების ფონზედ აღმოცენდა გენუას კონფერენციის მოწვევის აზრი. ამ კონფერენციაზე ერთი-მეორეს წინაშე უნდა წარსდგნენ და ერთი მაგიდის გარშემო საერთო გეგმები უნდა გამოძებნონ გუშინდელმა მოსისხლე მტრებმა. გენუა ლოდიკური დასკვნა არის იმ ცვლილებისა, რომელიც მოხდა საერთაშორისო ცხოვრების წიაღსა და პოლიტიკის სფეროში. ცხოვრებას თავისი გარკვეული ლოდიკა აქვს და ამ ლოდიკას ბოლოს და ბოლოს უნდა დაემორჩილოს სუსტიც და ძლიერიც ამა სოფლისა.

გენუა ათასგვარს წარმოდგენებს ჰქმნის, ათასგვარ პერსპექტივებს უშლის სხვა და სხვა ჯურის პოლიტიკოსებს, მაგრამ მისი დირებულება გამოურკვეველი დარჩება, თუ არსებითად არ შეისწავლეთ და არ გამოვარკვიეთ ის მიზეზები, რომელმაც წარმოშვა გენუას კონფერენციის მოწვევის აზრი, ეს მიზეზები კი მთელი თავისი სიძლიერით მარხია მსოფლიოს ეკონომიური ცხოვრების სიღრმეში, რომელიც გარკვეულად მიმართავს ძალებს საერთაშორისო პოლიტიკას. მსოფლიო ეკონომიკის აღდგენა, მისი განახლება და ცალცალკე სახელმწიფოების წარმატება შეუძლებელია გათიშვის, იზოლიაციის გზით, რომ მათი ინტერესები მოითხოვს შეთანხმებას, ერთი გარკვეული სამოქმედო გეგმის შემუშავებას, აი რა უდევს საფუძვლად გენუას კონფერენციას.

დღეს ევროპის კაპიტალისტები და პოლიტიკოსები იმის მსჯელობაში არიან, თუ რთგორის გეგმებითა და შინაარსით შეუდგნენ საბჭოთა რუსეთთან და გერმანიასთან საერთო მოქმედებას. ამ მსჯელობამ და აზრთა გაცვლა-გამოცვლამ ანტანტის მოკავშირეთა შორის ისეთი ძწვავე ხასიათი მიიღო, რომ რამოდენიმე საყურადღებო ცვლილება გამოიწვია ევროპის სახელმწიფოთა მთავრობებში. დღეს არ არის ეს აზრთა გაცვლა-გამოცვლა დამთავრებული, მაგრამ იგი ერთი გარკვეულის ხასიათი იქმნება. მან უნდა გადასწყვიტოს საბჭოთა რუსეთთან ურთი-ერთობის საკითხი.

რასაკვირველია, საბჭოთა რუსეთთან თუ გინდ გენუაში შეთანხმება არ ნიშნავს ევროპის კაპიტალისტების მხრით ხელის აღებას მუშურ-გლეხური რესპუბლიკის წინააღმდეგ ბრძოლაზე, ხელის აღებას სამუდამოდ. ჩვენ არა ერთხელ აღვნიშნავს, რომ მსოფლიოში ორი დიამეტრალური საწინააღმდეგო ქვეყნების არსებობა შეუძლებელია მუდმივად, რომ მათი ინტერესები და გეგმები ხანგრძლივი დროით ვერ მოთავსდებიან და ბოლოს და ბოლოს უფრო სუსტმა ადგილი უნდა დაუთმოს უფრო ძლიერს. მაგრამ შეთანხმება შესაძლებელი ხდება დროებით და გენუას აზრიც სწორედ აქ არის.

დღევანდელი ამოძრავება მსოფლიოს კონტრ-რევოლიუციონური ძალებისა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ იმ საერთო აზრიდან გამომდინარეობს, რომელიც გვეუბნება, რომ იმპერიალისტური ევროპა არ მისცა მს მოსვენებას და ყოველ პირობებში ეცდება ხელი შეუშალოს ახალი თავდასხმებით საბჭოთა რუსეთს. დღევანდელი ამოძრავებაც და გეგმებიც ამ საერთო აზრის რეალიზაციაა. მაგრამ მას ერთი მომენტიც ახასიათებს. ის ერთგვარი პოლიტიკური და საერთო დემონსტრაციაც არის გენუას წინ. ამ დემონსტრაციას ერთი გარკვეული აზრი აქვს: საბჭოთა რესპუბლიკების საზღვრებზე გართულებული მდგომარეობის შექმნით ანტანტას სურს გენუაში მაქსიმუმი შეთანხმებისა თავის სასარგებლოდ გამოსტყუოს საბ. რუსეთს. აი ამ პოლიტიკური მიზნით აღოძრავდა ევროპის გაქნილი დიპლომატია გენუას კონფერენციის წინ და სცდილობს რუსეთს ისეთი გამწვავებული პირობები შეუქმნას, რომელიც აიძულებს მას ზედმეტი დათმობის გაღებაზე. ამ გეგმით ამოძრავეს შავი რეაქციის მოცარულები, კარლიკური სახელმწიფოები, გვირგვინ ახდილი გენერლები და მეფის ჯალათები; ამ პოლიტიკური მოსაზრებით შექმნეს გეგმები რუსეთზე ახალი თავდასხმებისა. ახ დაგვეთანხმა ჩვენს წინადადებაზე, ჩვენ. პირობებზე და შემოდი ჩვენს კავშირში ზედმეტი დათმობით, წინაღმდეგ შემთხვევაში მიიღე ახალი ომები და ახალი კონტრ-რევოლიუცია.

ევროპის დიპლომატების დღევანდელი დემონსტრაციები, პოლიტიკური აზრი და შინაარსი ყველასათვის ნათელი უნდა იყოს. მას სურს გენუაზე რიხიანი ენით ილაპარაკოს, როგორც გამარჯვებულმა და შედარებით უკეთეს პირობებში მყოფმა მხარემ. ამ პირობებს მას შეუქმნის ახალი დემონსტრაციები. სხვა მხრივ მას არ შეუძლია ილაპარაკოს მედიდურ ტონით.

მაგრამ ანტანტის მესვეურნი ანგარიშებში მოსტყუვდნენ. დღევანდელი საერთაშორისო პირობები არ ჰქმნის ისეთს ძალას, რომელსაც შეეძლოს რაიმე რეალური საფრთხე გენუაზედოს საბჭოთა რუსეთს. არც ინტერვენცია და არც შინაური აჯანყება არ წარმოადგენს საბჭოთა რუსეთისათვის ისეთს საფრთხეს, რომლის წინაშე მან ქედი უნდა მოიხაროს. ვინაიდან არც ერთი ეს საშუალება რეალურად ვერ მიაღწევს მიზანს; ეს ძალები დღეს უძლურნი არიან რაიმე მოქმედება აწარმოონ რუსეთის წინაღ დგ.

ანტანტის დემონსტრაცია მხოლოდ დემონსტრაციად დარჩება გენუას კონფერენციის მოწვევის წინ.

საბჭოთა ხელისუფლებებმა ნათლად და გარკვევით განაცხადეს, თუ რის დათმობა შეუძლიათ და როგორ პირობეში შეიკვრებიან მოწინააღმდეგეებს. კონფერენციისათვის მათ გარკვეული პროგრამა აქვთ, რომლის გადახვევა და არც ისე ადვილი საქმეა. აქ ისმება ის ხაზი, რომლის გადალახვა არ შეუძლია საბჭოთა დიპლომატებს. ეს ყველასათვის გასაგონად ადიარა ამბ. ლენინმა მელიტონეთა ყრილობაზე და ამით პოლიტიკური შინაარსი გამოარკვია იმ მოლაპარაკების, რომელიც მოსალოდნელია მოხდეს გენუაში.

მაგრამ თუ გენუასთვის არის ნაკლი პროგრამა, არც დემონსტრაციები არის უყურადღებოდ მიტოვებული და ოთხი წლის ბრძოლის ქარცეცხლში გაკაჟებული წითელი არმია მედგრად სდგას საბჭოთა რესპუბლიკების საზღვრებზე ყოველგვარ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად.

სიმ. ხუნდაძე.

პროლეტარიატის დიქტატურა და საქართველოს სინამდვილე

3.

ჩემმა წერილმა, რომელიც მოთავსებული იყო „ტრიბუნის“ 16 მარტის ნომერში ამა სათაურით, გამოიწვია ამ. კ. კომუნაძის პასუხი (იხ. „კომუნისტის“ № 64).

როგორც ეტყობა, ავტორს დიდი ყოყმანი დასჭირვებია, ვიდრე კალამს ხელს წამოავლებდა, რადგან მის წინაშე როგორც გვეუბნება „გადაუდებელი პრაქტიკული ამოცანები“ ყოფილა დასმული, მაგრამ მაინც გადაუწყვეტია ხელი შეახოს „ძველ დაობებულ არქივიდან გამოქექილ მსჯელობას“, თუმცა ამის სრულ პასუხისმგებლობასაც ვერ კისრულობს და მკითხველს მისამართს უწერს, რომ ყოველივე იხილონ „ორტოდოქსალურ მარქსისტებსა და „ნაროდნიკების“ შორის წარმოებულ ბრძოლაში“,

მიუხედავად ასეთი ყოყმანისა, მაინც გაუნებებია პრაქტიკული საქმეებისათვის თავი და ფრიად ვრცელი წერილი დაუწერია.

როდესაც ავტორს რაღაც „გადაუდებელი პრაქტიკული ამოცანები“ მოყავს თავის წერილში და ამით დისკუსია ამა თუ იმ მოვლენის შესახებ ფრიად თავს აწყენს, ჩვენ ნეტარ ხსენებული მენშევიკები გვაგონდება. მენშევიკებისთვისაც ასეთი არგუმენტი არსებობდა ჩვენს წინააღმდეგ და ბოლშევიკებს როგორც საერთოდ ისე ამ მხრივაც მათი ანტიპოდი თვისება, რომ ჰქონდეთ ფრიად კარგი იქნებოდა.

მაგრამ დაუბრუნდეთ წერილის დედა აზრს და ჩვენი „არქივიდან გამოქექილი მსჯელობით“ შევადოთ ამხანაგ კ. კომუნაძის ახალი გამოფენის კარები.

პირველი დებულება, ასე ვსთქვათ ბრალდება, რომელსაც აყენებს ამბ. კ. კომუნაძე მდგომარეობს მასში, რომ მარქს-ენგელსის მოძღვრება სასოფლო მეურნეობის შესახებ დავამახინჯეთ. იგი სწერს „ავტორის მტკიცება, რომ ვითომც მარქსის მოძღვრების მიხედვით სასოფლო-სამეურნეო ინდუსტრიის განვითარებაც ისეთივე ტემპით და ხასწორით სწარმოებს, როგორც ქალაქის ინდუსტრიის, არ შეეფერება სიმართლეს და მისგან ძალიან შორსაა დაცილებული“.. „ასეთ მტკიცებას პოლიტიკურ არა სინდისიერობის სუნი უდის“.

განვიხილოთ ამბ. კ. კომუნაძის ლიტონი განცხადება და გამოვარკვიოთ, თუ როგორი სუნი უდის მის დებულებას.

ჩვენ ვამბობდით, რომ მარქსის თვალსაზრისი, რომელიც ეყრდნობოდა კაპიტალის კონცენტრაციის ტენდენციას, აგებული იყო მხოლოდ მსხვილ წარმოებაზე და მას არ ქონდა გათვალისწინებული სასოფლო-მეურნეობის სპეციფიური ხასიათი, სადაც კაპიტალის კონცენტრაცია ისეთივე ტემპითა და სისწორით კი არა, არამედ თითქმის მის საწინააღმდეგო პროცესად ისახება. ჩვენ ავდვიშნავდით, რომ ასეთ გაგებაზედ აგებული კლასთა თეორია, ცხოვრებამ დაამარცხა-თქო.

ამხ. კ. კომუნაძე ბრალდებას გვიყენებს, რომ მარქსის აზრი დავამახინჯეთ, რომ მარქს-ენგელს საქმის ვითარება ასე არ ქონდათ წარმოდგენილი და კარგად იცოდნენ, რომ სასოფლო მეურნეობაში ისეთივე სისწორით და ტემპით არ მიდიოდა კაპიტალის კონცენტრაცია, როგორც ინდუსტრიაში.

მივმართოთ თვით მარქს-ენგელს: „არსებული წვრილი და საშუალო წოდებანი. წვრილი ხელოსნები, ვაჭრები, რენტიერები, ხელოსნები და გლეხები—ყველა ეს კლასები უერთდება (низвергаются) პროლეტარიატების რიგებს"*) (ხაზი ჩვენია).

„კაპიტალის" მესამე ტომში მარქსი არკვევს გლეხების წვრილი საკუთრების დაცემის მიზეზებს და ამბობს, რომ „გაქრობა სოფლური წარმოების ხდება კაპიტალისტური წარმოების კონკურენციის ნიადაგზე, აგრეთვე ხდება მიწის ნაყოფიერების გამოფიტვა, ხდება მსხვილი მიწის მფლობელების მიერ მიწების მოკრება და სხ.

საერთოდ „კაპიტალის" მესამე ტომში აგრარული „ურთიერთობის შესახებ მარქსის გამოკვლევა, თავის თავად საკმაო მასალას იძლევა, რომ მარქსის შესახებ ამხ. კ. კომუნაძის მოსაზრებას არ დავეთანხმოთ.

მართალია, გ. პლეხანოვი არ ეთანხმება მარქსის კომენტატორებს და ფიქრობს, რომ მარქსის გაგება სასოფლო მეურნეობისა არ ეთანხმება ინდუსტრიის გაგების იგივეობასო, მაგრამ ჩვენთვის მარქსის გასაგებად საჭიროა არა გ. პლეხანოვი, არამედ თვით მარქსი, ხოლო თუ საქმე მიდგება მარქსისტობაზე საერთოდ შეგვიძლია დავასახელოთ გ. პლეხანოვის წინააღმდეგ მთელი რიგი მარქსისტებისა და მათ შორის კ. კაუცკი, ლაბრიოლა და სხ.

ერფურტის პროგრამის კომენტარიებში კ. კაუცკი სრულ იგივეობას ხედავს მსხვილ ინდუსტრიისა და სასოფლო მეურნეობის შორის და დარწმუნებულია, რომ კაპიტალისტური სასოფლო-სამეურნეო სავეჯით გაიმარჯვებს გლეხურ მიწის-მფლობელობაზე.

მარქსი სწერს „ბურჟუაზიამ, სოფელი გადასცა ქალაქს თავის უფლებაში"*).

იგი განაგრძობს „საშუალო წოდების ყველა არსებული ელემენტები—წვრილი მწარმოებლები. ვაჭრები, რენტიერები, ხელოსნები და გლეხები—ყველა ესენი კარგავენ თავის ძველ მდგომარეობას და უერთდებიან პროლეტარიატს. ეს ხდება ნაწილობრივად იმის გამო, რომ არ შეუძლიათ კონკურენცია გაუწიონ თავისი მცირე საშუალებებით მახვილ კაპიტალისტებს, ნაწილობრივად იმის გამო, რომ მათი პირადი ნიჭი კარგავს ნიშვნელობას, წარმოების საშუალებათა გამოგონებით. ამ რიგად პროლეტარიატი თანდათან მრავლდება მცხოვრებთა სხვა და სხვა კლასის წარმომადგენლებით".

ამის შემდეგ, მართალია რუსი მეცნიერი ტუგან-ბარანოვსკი, როდესაც ამბობს, რომ არავითარი ეჭვი არ შეიძლება შეგვიპაროს, რომ მარქსი სასოფლო მეურნეობის სპეციფიურ თვისებებს არ აქცევდა ყურადღებას და კაპიტალის კონცენტრაცია სასოფლო მეურნეობაში ისეთივე ტემპით წარმოედგინა, როგორც ინდუსტრიაში.

თვით მარქსი სწერს „იმ დროს, როდესაც დანარჩენი კლასები იღუპება და ქრება მხსვილი წარმოების განვითარებით, პროლეტარიატი არის მისი დვიძლი შვილი"*).

როდესაც ასეთი იყო კ. მარქსის თვალსაზრისი მას ლოლიკურად შეეძლო შემდეგი დანასკვი გაეკეთებინა „ყველა, აქამდე მომხდარი საზოგადოებრივი მოძრაობანი ხდებოდა უმკირესობით, ან უმცირესობის ინტერესთა საშუალებით. პროლეტარიატის მოძრაობა კი წარმოადგენს თვის თავად უდიდესი უმრავლესობის დამოუკიდებელ მოძრაობასო"*) (ხაზი ყველგან ჩვენია)

რას გვეუბნება ფ. ენგელსი? იგი სწერს „წარმოების კაპიტალისტური ფორმის განვითარებამ გადასჭრა სასიცოცხლო ძარღვი წვრილი წარმოებისა სასოფლო-მეურნეობაში; ეს წარმოება ეიმედოთ იშლება და იღუპება."

„მსხვილი მიწის-მფლობელი და წვრილი გლეხი, ორივე ხედავს თავის წინდაღუპვის ნიშნებს."*)

შეგვეძლო კიდევ მრავალი ციტატები მოგვეყვანა მარქს-ენგელსის თხზულებებიდან, მაგრამ ვფიქრობთ ამხ. კ. კომუნაძის ბრალდების გასაქარწყლებლად ესეც კმარა.

ამხ. კ. კომუნაძე ჩვენს აზრს მარქს-ენგელსის თვალსაზრისზე სასოფლო-მეურნეობის შესახებ „პოლიტიკურ არასინდისიერობის სუნს" მიაწერდა, ეხლა თვით მკითხველმა დაინახოს ამხ. კ. კომუნაძის განცხადებათა „სურნელოვანება" და შეაფასოს იგი, როგორც საჭიროა.

კიდევ მრავალი დებულებები წამოაყენა ამხ. კ. კომუნაძემ, რომელსაც მეორე წერილში შევეხებით.

ხ.—ელი.

*) ibid.—Стр. 12

*) ibid.—Стр. 13

*) Ф. Енгельс „Крестьянский вопрос во Франции и Германии" стр. 4.

*) „Ком. манифест" ст. 15.

*) К, Маркс, „Современная борьба классов" ст. 6.

სადღეისო მუსაიფი

II.

ასე იყო რუსეთში. ჩვენშიც ასეთივე მოხდა. ჩვენ ვიცით, რომ რუსეთის მოდვაწეთა მოქმედებასა და მიხწრაფებას კვალ-დაკვალ მისდევდა ჩვენი ახალგაზრდობა, რომელიც ამავე დროს ამ მისწრაფებას უნერგავდა ჩვენს მშრომელ ხალხს. ეს ახალგაზრდობა სამოციანი წლებიდან დაწყებული აქტიურ მონაწილეობასაც იღებდა რუს მოდვაწეებთან ერთად. ამიტომ ყოველი ჩვენი მოდვაწე, რომელიც კი სოციალიზმის მოძღვრობის ადმასრებელი იყო და რომელიც ამ მოძღვრებას არ გადაუდგა, როგორც ეს მოუვიდა ნ. ნიკოლაძეს,—ღრმათ დაჯერებული იყო, რომ, რუსეთში რევოლიუცია თუ კი მოხდებოდა, ეს რევოლიუცია უეჭველათ იქნებოდა დასაწყისი სოციალური რევოლიუციისა, რომელსაც უნდა გაენთავისუფლებია მუშა და გლეხი ეკონომიური მონობისაგან, ხოლო მცირე ერებს. რომელნიც ცარიზმის მიერ ძალდატანებით ბეხიზნულნი იყვნენ რუსეთში და რომელნიც ამავე დროს ცარიზმის მიერ დათურგვნილნი და დევნილნი იყვნენ,—უნდა მოეპოვებინათ სწორ უფლებიანობა და სუვერენობა. ამ ორი მიზნის მისაღწევათ ყოველი ქართველი პატიოსანი მოდვაწე იყო სოციალისტი და პირუთვნელი, გულწრფელი მიმდევარი რუსეთის სოციალური რევოლიუციის ორიენტაციისა, რადგან კეთილ-შობილ ქართველს ბოდვაწეს ვერც წარმოედგინა ამ ორი მიზნის განადგურება ხანამდვილეში ურუსეთოთ და უსოციალ-რევოლიუციოთ. ეს რწმენა, ეს ბეჯითი შეხედულება ასულდგმულებდა ყოველ ქართველ მოღვაწეს, ვინც კი სოციალიზმის მადალი მისწრაფებით იყო გამსჭვალული. იყო სხვა და სხვა მიმართულება, მაგრამ ეს განსხვავება ამ გეზს ვერ ამრუდებდა, რადგან სოციალისტ-რევოლიუციონერსაცა, სოციალისტ-ფედერალისტსაცა და სოციალ-დემოკრატსაც ის ძირითადი რწმენა ერთებდა რომ ვერც ერთს მათგანს ვერ წარმოედგინა თვისი მოქმედების ნაყოფიერება თვის სამშობლოში გარეშე რუსეთის დიდი რევოლიუციისა. ამიტომ ამ სამივე მიმართულების მიმდევარნი გულწრფელად ხელს უწყობდენ, ეხმარებოდენ რუსეთში რევოლიუციის დასაწყისსა და გაჩაღებას.

ყოველი მათგანი ამავე დროს უსასტიკესი მტერი იყო ყველა იმ მოღვაწისა, რომელიც საქართველოს სეპარაციას ალიარებდა. სეპარატიზმი სამივე მიმართულების მიმდევართ დიდად ეამღუპველ მოვლენათ მიაჩნდათ საქართველოსთვის და სეპარატიზმის წინააღმდეგ წარმოებდა სასტიკი და მედგარი ბრძოლა სამ ფრონტზე. ასეთი სულის მისწრაფება იყო ჩვენშ 1917 წლის ოკტომბრამდი. ამას შემდეგ კი ეს მისწრაფება უცებ შეიცვალა, სრულიადაც მოისპო, თითქოს ასეთ რასმე არც როდისმე ქონოდეს ადგილი. ამის მიზეზი კი სულ სხვა იყო.

უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ მენშევიკები რუსეთში დამარცხდენ. ამიტომ ესენი აქეთ გამოიკვლენ და თავი საქართველოს შეაფარეს. ესენიც ძალა-უფლების უაღრესი მოტრფიალენი იყვნენ. ამიტომ, ოღონდ ეს ძალა-უფლება, ამ ძალა-უფლების ლანდიც კი შერჩენოდათ,—მენშევიკები ალარას დაგიდევდნენ და ერთბაშად თვისის თავი სეპარატიზმის მორევში გადისროლეს, იმ სეპარატიზმისა, რომელიც მთასწავებდა და მოასწავებს ქართველი ხალხის სრულ განადგურებასა და დედა-მიწის ზურკიდან სრულ ალმოფხვრას. მართალია, ერთმა შეთხზევამ მისცა მიზეზი მენშევიკებს ამ გეზის ადებაში. რუსეთში დაგუგუნდა სამოქალაქო ომი. ამიტომ რუსეთს ალარ შეეძლო განაპირა ქვეყნები დაეცვა და დაეფარა. ამ დროს კი ჩვენს სამშობლოს კარზე მოადგა ძლევამოსილი გერმანია და იმის ამყოლი სათათრეთი. ამ ფაქტმა, ომის წიაღში შემთხვევით ამოტივტივებულმა, ერთბაშათ შეატრიალა გონიერება მენშევიკებისა, დაავ წყა მათ ოცი წლის ნათქვამ-ნამოქმედარი და სოციალ-დემოკრატია (მენშევიკებმა) სეპარაციას მჭიდროდ ხელი მოსჭიდა. ამას ეჰკვეხენ სოც. ფედერალისტები. უკანასკნელთა ეს საქციელი კი სრულებით გაუგებარია, რადგან სეპარატიზმი სოციალ-ფედერალიზმის სრულებით საწინააღმდეგო ცნებაა და რადგან სოც.-ფედერალისტებს არას დროს არც ძალა შესწევდა, ამიტომ არც სურვილი ჰქონდათ, ეს ძალა-უფლება სულ მოკლე ხნითაც კი ხელთ ჩაეგდოთ. რატომ აყენენ ესენი მენშევიკებს? ერთად ერთი ალბა ის არის, რომ სოც.-ფედერალისტთა პარტიის უმრავლესობა, უნდა ვიფიქროთ, შესდგებოდა სეპარატისტებისაგან, რომელნიც ამ დრომდე მიყუჩულნი და უენონი იყვნენ. მაგრამ ამ უმრავლესობამ თავი წამოყო, გაეცალნ, მოიპოვა პარტიაში, რაკი მას შემთხვევა მიეცა, თვისი სულის მისწრაფება გამოემზეურებია. ამ უმრავლესობამ დაჩრდილა და მიჩქმალა გონიერი ნაწილი, ამას პირში ბურთი ჩაუდო, თუმცა ეს უმცირესობა სწორედ იმ დღიდან სასტიკ კრიტიკას აწარმოებდა პარტიის წიაღში ამ უმრავლესობის წინააღმდეგ ამ საბედისწერო ნაბიჯის გადადგმის გამო.

ასეა თუ ისე, შემთხვევითმა მოვლენამ მენშევიკებსაცა და ს.-ფედერალისტებსაც გონიერება გამოაცალა და ამათ გადაავიწყეს თვისი მოძღვრებაც, მრწამსიც და იდეალებიც. ამათ ვერ გაითვალისწინეს, რომ საქართველოს მშრომელი ხალხი გრძნობით, შეგნებით და შემეცნებით რუსეთის ორიენტაციისა იყო. ამიტომ ეს მშრომელი ხალხი ამ საბედისწერო ნაბიჯის გადადგმელთ პასუხს მოსთხოვდა. გარდა ამისა საქართველოს ტერიტორიაზე სხვა ერებიც ცხოვრობენ, ამერიკის დღევანდელი ტეხნიკა, რომელსაც არ ჰყავს მეტოქე, საუკეთესო სასულიერო და გონიერული კულტურა, აგრეთვე აყვავებული გარეშე კულტურა—ყველა ეს შედგება სასულიერო კულტურის სრული თავისუფლებისა, დეცენტრალიზაციისა; აგრეთვე კიდევ გარეშე კულტურის ძალიან ცენტრისკენ მიმწევ და თანდათანობითი სვლისა.

ამ არსებითი იდეით უნდა ვიხელმძღვანელოთ კავკასიის ფედერაციის შედგენისათვის და ერთ დროებით უნდა მხედველობაში მივიღოთ ჩვენი ქვეყნის განსაკუთრებული თავისებური პირობები.

მაშასადამე, ჩვენ უნდა შევეერთოთ ადერბეიჯანს, საქართველოს და სომხეთის გარეგან კულტურული ყველა საქმეები—ჯარი, ფინანსები, ვაჭრობა, მიმოსვლა (ფოსტა-ტელეგრაფი, რკინის გზა) და სურსათ-სანოვაგის მომარაგება. ამ საქმის წარმოებისთვის საჭიროა ერთი ცენტრალური ძალიერი ხელისუფლება, რომელსაც თავის გვერდზე უნდა ყავდეს ზედამხედველი ორგანო, მუმათა და გლეხთა ინსპექცია. სასულიერო კულტურის ყველა საქმეები კი, როგორც სახალხო განათლების, გამომცემლობის, ლიტერატურის, სკოლის და სხვა საქმეები, ყველა ეს უნდა მისცეს ყველა ხალხს და ერს, რომ თავიანთ საკუთარი საშუალებებით და სასურველი ფორმით აწარმოვონ, როგორც სურთ. ჩვენ ხაზ გასმით ვამბობთ სიტყვებს „ყოველ ხალხს", რათა ამნაირად აღვნიშნოთ, რომ სასულიერო-საკულტურო საქმეები არადროს არ შეიძლება მიეცეს გარკვეულ ტერიტორიებს, მანამ სამხრეთ კავკასიის რუქა აჭრილებულია სხვა და სხვა ადგილობრივი მოსახლეობით: სომხეთში, ნახიჩევანის ოლქში ხალხის უმრავლესობას შეადგენენ თათრები, ზანგეზურში კი ესენი ძლიერ უმცირესობას წარმოადგენენ. საქართველოში, ბორჩალოს ადმოსავლეთის ხალხის უმრავლესობას შეადგენენ თათრები, სამხრეთ-დასავლეთ მხარეში კი ხალხის უმრავლესობას შეადგენენ სომხები; ახალქალაქის მაზრაში აგრეთვე უმრავლესობა სომხები არიან; ახალციხეში, სიღნაღში, გორის და სხვა რაიონებში საგრძნობელი უმცირესობას შეადგენენ; ადერბეიჯანში, მასი მთიული მხარე ყარაბადი დასახლებულია მუდმივად მრავალ სომხობით, განჯის, ნუხის, არეშის, გოგჩის და შამახის რაიონში სომხობა შეადგენს ძლიერ უმცირესობას; ალარ ვლაპარაკობთ ტფილისის, ბაქოს, ბათუმის, თელავს და სიღნაღის ქალაქებზე, სადაც თუმცა სომხობა არ შეადგენს უმრავლესობას, მაგრამ იმისთანა შესანიშნავ უმცირესობას შეადგენს, რომ მისი სასულიერო კულტურის დაქვემდებარება უცხო ფაქტორს სრულებით არ შეეფერება ხალხების თვითგამორკვევის და თავისუფლების პრინციპებს.

მაშასადამე, ჩვენ უნდა შევეერთოთ არა ტერიტორიები, არამედ ეროვნებები და ხალხნი; სასულიერო კულტურის დამოუკიდებლობა უნდა—ბრძანონ არა თვ. ტერიტორიებმა, არამედ ამ ტერიტორიებზე—ცხოვრებელ—ყველა ეროვნულ ჯგუფებმა.

უკე თუ ეს ასე არ იქნა და უკეთუ ამ ან იმ ტერიტორიის, ვიგულისხმოთ, მაზრის რეგიონი ან ალმასრულებელი კომიტეტი იმავე ანარატით ემსახუროს ამ მაზრის სხვა და სხვა ერებს—ცხადია, რომ „ულილებელი გახდება ფარული უკმაყოფილება და სიმწარე. ეს უკმაყოფილება შეიძლება არ გამოითქვას შიშის, გულგრილობის ან ჯგუფურ დისციპლინის დაურღვევლობის მიზეზით, მაგრამ ჩვენ ვერ შეგვძლია მხედველობაში არ მივიდოთ, რომ ყველა ეს არსებობს.

მაშასადამე, რომელია უფრო სასურველი ფორმა ფედერაციისა?

ეს არის ის ფორმა ფედერაციისა, რომელიც გამოქვეყნებულია სომეხ ფედერალისტების პირველ დეკლარაციაში (იხილე „ტრიბუნა") ეს არის ხალხთა და ეროვნებათა ფედერაცია, და არა ტერიტორიების ფედერაცია.

ამრიგად ჩვენ საჭიროდ ვთვლით ყოველ ხალხს და ერს მიეცეს სრული თავისუფლება სასულიერო კულტურის ალპარეზზე, განთავისუფლება ერთმანეთთაგან დამოკიდებულ მდგომარეობიდან, მოშორდეს სიმწარე და მიეცეს თავისუფლად გამოთქმის შეძლება, მიეცეს შეძლება აწარმოვონ თავიანთი კულტურული საქმეები თავიანთ საკუთარი საშუალებებით და ისე, როგორც სურთ.

აი ეს არის ჩვენი თვალსაზრისი ფედერაციის ფორმისა და ეროვნულ კულტურის თავისუფლებაზე".

ნ. ჩაგიანი.

ბურჟუაზიული პრესა

საბჭოთა რუსეთის შესახებ.

ლონდონი. „ტანი", უძვნის რა ორ წერილს პირობათ, რომელიც შეიკრა რუსეთსა და განაპირა სახელმწიფოებს შორის და რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობას, სწერს რომ ეს ხელშეკრულებანი არსებითად არაფერს არ ავალებს ევროპის სახელმწიფოებს, ვინაიდან რუსეთის მთავრობა მათ მიერ არაა აღიარებული. მაგრამ ხელშეკრულებანი სავალდებულოა რუსეთისათვის და საბჭოთა მთავრობას არ შეუძლია მოითხოვოს გენუაში მასში როგორიმე ცვლილება. თუ გენუას კონფერენციის შედეგს მოყვება რუსეთის ცნობა, მაშინ ევროპის მპყრობელთ მოუხდებათ აგრეთვე იმ ხელშეკრულებანი, ვინაიდან ეროვნული ბალტიისპირეთი, ბალტიისპირეთ-ბალკანეთ-ბალტიისპირეთ—ეს ეროვნული ჯგუფებმა.

ამ ეროვნულ ჯგუფებმა ალბან

ლებათა აღიარება, რომელიც დაიდვა რუსეთის მიერ განაპირა სახელმწიფოებთან, მაგრამ იმდენად, რამდენად ისინი არ არღვევენ ინტერესებს მესამე მხარის, ე. ი. ევროპის. თავისთავად იგულისხმება, რომ საზღვრების და ხელშეკრულებათა პოლიტიკურ მუხლების საკითხი არ ექვემდებარება შეფასებას, მისი მესამე მხარის ინტერესების დარღვევის თვალსაზრისით. ხოლო ფინანსიური მუხლები ამ ხელშეკრულებით იქნება განხილული.

შემდეგ „ტანი“ ჩერდება რუსეთის ეკონომიურ აღდგენის საერთაშორისო კონცერსიუმის საკითხზე. გაზეთი აღნიშნავს სამგვარ გარანტიას, რომელიც უნდა წარუდგინოს ამ კონცერსიუმს. პირველი, გარანტია სოციალ-პოლიტიკური ხასიათის. ვინაიდან საბჭოთა ხელისუფლება აშკარად აცხადებს, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა სცდილობს რუსეთის გლეხობის ინტერესების საბჭოთა რეჟიმთან შეთანხმებას, რადგან საბჭოთა რეჟიმი მიზნად ისახავს კაპიტალისტურ წყობილების მოსპობას, ამიტომ საერთაშორისო კონცერსიუმს უნდა მიეცეს გარანტია იმაში, რომ, აღადგენს რა იგი რუსეთის მრეწველობას, მან ამასობაში არ უნდა გასწიოს კომუნისტური განტკიცებისაკენ მიმართული სამსახური: საბჭოთა მთავრობის ავტორიტეტის გაძლიერებით ში, რუსეთში ან რუსეთის საუცხოეთო პროპაგანდას არ უნდა უწყობდეს ხელს. მეორე: უნდა მიცემულ იქმნას სამხედრო გარანტიები, ვინაიდან თუ საერთაშორისო კონცეოსიუმის გაუწევს დახმარებას რუსეთის სამხედრო წარმოებას, ან შემოიფარგლება რუსეთის ტრანსპორტის აღდგენით, მაშინ შესაძლოა, რომ ყოველივე ეს მოხმარებული იქნება ჯარების მობილიზაციისაათვის ევროპის საწინააღმდეგოთ. დაბოლოს, საჭიროა უფლებრივი გარანტიები, რადგან გამოუცნობელია, არ მიაყენებს კონცერსიმის მუშაობა ზიანს უცხოეთის კაპიტალისტების ინტერესებს, რომლებმაც დააბანდეს თავისი კაპიტალი რუსეთში რევოლიუციამდე, აგრეთვე რუს კაპიტალისტების ინტერესებს, რომელთა უფლება პატივცემულ უნდა იქმნას საზღვარ-გარეთელთა უფლების თანაბრად. ყველა ამ მუხლებში, ათავებს გაზეთი, აუცილებელია სრული სიცხადე.

თვალისწინა აკაკის მგრძნობიარე სულის კვეთება, საქმე ის არის, რომ 1914 წ. ოქტომბრის მიწურულებში ტფილისში კინალამ შეშიპრა საათარეთის ჯარი. ეს მოვლენა ისეთი დიდი განცდა იყო, რომ ქართველი ხალხის მდგომარეობა საბედისწეროთ იცვლებოდა. ეს საშინელებისა, დარბევისა და განადგურების შეადგა ქართველებს. ეს იგრძნო ყოველმა ქართველმა, ვისაც კი ქართული კულტურის პატივისცემა ქონდა, იგრძნო ქართველმა მშრომელმა მასამ, ამ დროს მხოლოდ უბადრუკი ნაციონალ-დემოკრატია ბედავდა ეთქვა, რომ სულ ერთია, საათარეთიც უნდა მივიღოთო. ეს მთელი დიდი უბედურება ქართველი ერისა დრმათ იგრძნო აკაკის მგრძნობიარე სულმა და იგი სულ ფორტოპიანოს კლავიშებივით ათამაშდა და სთქვა ამდერდა, რომ ქართველი ერის მხსნელი ბორიტისა და უხეში საათარეთის ძალმომრეობისაგან არის მხოლოდ რუსეთი და მხოლოდ რუსეთია, ამიტომ ამ რუსეთს ხოტბა შეასხა და გადაჭრით სთქვა ის, რაც სთქვა და მოიმოქმედა ირაკლი მეორემ: რუსეთი და არა საათარეთი-საქართველოს ტერიტორიაზეო. ამ საქციელში, აკაკის ამ გენიის უკანასკნელ ხელოვნებაში აშკარავდება მთელი ბუნება და გონიერი მგრძნობელობა აკაკისა, როგორც დიდი ეროვნული მგოსნისა. აქ აკაკიმ გულ წრფელად ადიარა გულის თქმა და მისწრაფება, რომელიც ღრმათ და წარუხოცელად ჩაბეჭდილია ქართველი ხალხის გულსა და გონებაში.

ეი, ასე მტკიცე და ღრმაა ქართველი მშრომელი ხალხის ნდობა რუსეთისადმი. ამას კი როდი რაიმე ანგარიში გაუწია სოციალ-დემოკრატიამ (მენშევიკებმა), ძალა უფლების ტრფიალებით დამთვრალმა, ამავე გარემოებამ ნიადაგი ფეხ ქვეშ გამოაცალა სოციალისტ-ფედერალისტებს, (მემარჯვენეთ) რომელნიც უგანურათ მენშევიკებს აყვნენ. ამ ნაირად ამ ორმა პარტიამ სამარცხვინოთ ჯალატა ქართველ მშრომელ მასასა და რუსეთის დიდ რევოლიუციას.

ი. ფანცხავა.

გენუას კონფერენციის გარშემო

სამი ინტერნაციონალის კონფერენცია.

მოსკოვი, 23 მარტი (რადიო). 19 მარტს ვარშავიდან გვატყობინებენ: III ინტერნაციონალის კონფერენციის შესახებ „ტანი“ აღნიშნავს, რომ მის მიზანს შეადგენს გაერთიანდეს სოციალისტური და კომუნისტური ძალები გენუის კონფერენციის დაწყების წინ, ბურჟუაზიულ მთავრობებზე მოვლენის მოსახდენად იმ აზრით, რომ მათ აცნონ საბჭოთა ძალა უფლება.

ბორდო, 22 მარტი. მახლობელ დღეებში პარიზში შესდგება ნაციათა ლიგის საბჭოს კრება, ერთა ლიგის გენუის კონფერენციაზე მონაწილეობის პირობების შესახებ საკითხის საბოლოოდ გადასაჭრელად.

ინგლისის პროგრამა.

ნიუიორკი, 22 მარტი. გერმანიის პრესას ცნობით, ლოიდ ჯორჯს განზრახული აქვს მახლობელ დღეებში გამოაქვეყნოს თემთა პალატაში ინგლისის მთავრობის პროგრამა. პროგრამა, რომელიც უნდა გაატაროს ინგლისის დელეგაციამ გენუის კონფერენციაზე. ლოიდ-ჯორჯი დეტალებით მოითხოვს პროგრამის არა ძარტო მოწონებას, არამედ იმასაც, რომ თემთა პალატამ დასვას საკითხი ნდობის შესახებ, ვინაიდან ეს დაუმტკიცებს მთელ მსოფლიოს, რომ ლოიდ-ჯორჯი დარჩება ხელისუფლების სათავეში და გააგრძელებს მოქმედებას პარლამენტის და პალატის ნდობით.

საფრანგეთის დელეგაცია.

ბორდო. 22 მარტი. საფრანგეთის დელეგაცია გენუის კონფერენციაზე დასასწრებლად ჯერ კიდევ არ არის არჩეული. გაზეთების ცნობით დელეგაცია იქნება შემდგარი 5 წევრისაგან, რომლებიც იქნებიან დანიშნული პოლიტიკურ-დიპლომატიური და მრეწველთა წრეებიდან.

ექსპერტების თათბირი.

პარიზი. 22 მარტი. ბრიტანეთის დელეგაციის წინამძღოლის სიდნეი ჩეპმონის თავმჯდომარეობით ორშაბათს ლონდონში შესდგა პირველი თათბირი ექსპერტების. პირველ კრებაზე ექსპერტები დაკმაყოფილდნენ აზრების გაზიარებით. ლონდონის გაზეთების ცნობით, თათბირი უწინარეს ყოვლისა განიხილავს საკითხს რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის აღდგენის შესახებ.

უცხოეთი

საფრანგეთის მისწრაფებანი.

პარიზი 21 მარტი. ზოგიერთი ფრანგული გაზეთები, არკვევენ 2 დეპუტატთა პალატაში წარმოთქმულ სახელმწიფო მინისტრ მენიოს სიტყვას, აღნიშნავენ, რომ საფრანგეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ბატონობისაკენ საფრანგეთის ლტოლვას მივყავარ მას დაბრმავებამდე. სამხედრო წრეები ივიწყებენ სინამდვილეს. საფრანგეთის სამეფედრო ჰეგემონიისაკენ ლტოლვით ნაციონალისტები მიგვიყვანებენ მხოლოდ იქამდე, რომ საფრანგეთი გახდება მსოფლიოზე თავდასხმის ობიექტი და ამავე დროს ამით არაფერს მიიღწევს.

გაფიცვა იტალიაში.

ბერლინი 21 მარტი. გენუის და ნეაპოლის ნავთსადგურებში გამოცხადებულია გაფიცვა. საერთო გაფიცვა ემუქრება იტალიის ყველა საგულისხმო ნავთსადგურებს.

რევოლიუციონური მოძრაობა ტრანსვაალში.

მოსკოვი 22 მარტი ლონდონიდან მარტის 18 გვაუწყებს: ტრანსვაალში პარტიზანული გამოსვლები კიდევ გრძელდება ინსურგენტები ჯარისკაცების და პოლიციელების წინააღმდეგ. მთავრობა აღიარებს, რომ მოძრაობა ღებულობს საშიშარ ხასიათს. მუშათა ლიდერები თითქმის ყველა დაჭერილია.

ბალტიკის სახელმწიფოების კონფერენცია.

მოსკოვი 23 მარტი. ჰელსინგფორსიდან 30 მარტს გადმოქვცეს: ფინეთის პრესის ბიურო იუწყება, რომ პრიბალტიკის სახელმწიფოების კონფერენცია დასრულდა 17 მარტს. ხელ მოწერილია ხელშეკრულება, რომელიც შეიცავს რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებათა ურთიერ ცნობას. მონაწილენი ვალდებულნი არიან არ შეკრან პირობა, რომელიმე მათგანის წინააღმდეგ.

ვარშავას კონფერენცია.

მოსკოვი 23 მარტი. ვარშავიდან 16 მარტს მიღებული ცნობებით, ვარშავის კონფერენციის შედეგებში, როგორც გადმოგვცემს გაზ. „რაბოტნიკი“, შეკრული იქნება პოლიტიკური პირობები ფინლიანდიის, ესტონეთის, პოლონეთისა და ლატვიას შორის.

გერმანიის გადასახადი.

ნიუიორკი 22 მარტი. პარიზიდან მიღებულ ცნობებით, საკონტრიბუციო კომისის წევრთა უმრავლესობა ეთანხმება მორატორიუმის წარდგენას გერმანიისადმი. იგივე ცნობებით, ინგლისსა და იტალიას სურს გერმანიაზე დააწესონ გადასახადი 1922 წ. 500 მილ. მარკა ოქროთი. ხოლო ფინლიანდია და ბელგია მოითხოვენ 750 მილ. მარკას ოქროთი.

სამხედრო კონტროლი.

ლონდონი 22 მარტი. „დეილი ტელეგრაფ“ იუწყება: წინაღმდეგ საფრანგეთისა და იტალიის მოთხოვნილებისა, რომელთაც სურთ განაახლონ სამხედრო კონტროლი გერმანიაში კიდევ 8 წლით, ინგლისი, პირიქით მოითხოვს რურის რაიონის ქალაქების ოკუპაციის მოხსნას და 1925 წლიდან სამხედრო კონტროლის შეწყვეტას, ვინაიდან ამ დროისთვის ინგლისის ჯარები საბოლოოდ გამოყვანილი იქნება გერმანიის საზღვრებიდან.

გერმანიის ფინანსები.

ნიუიორკი 22 მარტი. გერმანიის ფინანსთა მინისტრმა რეიხსტაგში განაცხადა, რომ, გერმანია იმდენად დატვირთულია გადასახადებით, რომ ახალი გადასახადი შეიძლებოდეს შეუძლია არამც თუ გამოიწვიოს ეფეთქება და უკმაყოფილება, არამედ გახადეს შეუსრულებელი მთავრობის ფინანსიური პროგრამა.

იძულებითი სამინაო სესხს შეუძლია, ყოველივე დონისძიების მიღებით, მოგვცეს 60 მილიარდი მარკა, ეს მაშინ, როდესაც საზავო პირობების შესასრულებლად საჭიროა 99 მილიარდი მარკა. ცხადია, გერმანიის ფინანსების გადარჩენა დამოკიდებულია საზავო პირობების მოთხოვნილებათა გონივრულ შემოკლებისაგან.

ბადენის და მარტის კანდიდატურა.

მოსკოვი 23 მარტი. ვარშავიდან 18 მარტს გვაუწყეს: დამატებით მუნიციპალურ არჩევნებში, რომელიც დანიშნულია პარიზში 26 მარტს, მე-14 ოლქში ყველავ წამოყენებულია ლუი ბადენის და მე 20 ოლქში მარტის კანდიდატურა.

ლოკაუტი ინგლისში.

მოსკოვი 23 მარტი. ინგლისის მთავრობამ ფართო მუშათა ორგანიზაციის შერთებულ კავშირის თხოვნა ლოკაუტის მიზეზების გამოკვლევის შესახებ, რომელიც (ლოკ.) გამოცხადებულია მანქანათა შენების წარმოების მუშების მიერ, ვინაიდან სხვა კავშირებმაც, რომლებიც დაინტერესებულია კონფლიქტით, უნდა გამოსთქვან თავისი აზრი დამქირავებელთა ულტიმატუმის შესახებ კაბინეტი არ მიიდებს არავითარ ზომებს 25 მარტამდე, როდესაც გამოირკვევა 47 კავშირის ხმის მიცემის შედეგი, რომელიც (კავშირებ.) შეიცავს 1 მილ. წევრს. ლოკოუტის საკითხი განხილული იქნება პარლამენტში დამქირავებელნი სცდილობენ სამუშაოზე დაყენონ სხვა კავშირის წევრები, მაგრამ მანქანის მშენებელთა კავშირმა მიიღო ამის საწინააღმდეგო ზომა.

ფაშისტების დაპატიმრება.

ბერლინი 22 მარტი. იტალიის შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით, დაპატიმრებულია 800 ფაშისტი, რომელთა წინაშე წამოყენებულია საზოგადოებრივ წეს-რიგის და საშინაო მშვიდობიანობის დარღვევის ბრალდება.

სამოქალაქო ომი ირლანდიაში.

ჩიკაგო 22 მარტი. „პელ მელ გაზეთი“-ს ცნობით, ირლანდიაში მდგომარეობა მეტად სერიოზულია. დღიდან დღე მოსალოდნელია ქვეყნის გადასვლა სამოქალაქო ომის მდგომარეობაზე. „ივნინგ ნიუზის“ ცნობის მიხედვით, ულსტერის და სამხრეთ ირლანდიის საზღვარი ბრძოლის ველს მოგვაგონებს. ყველგან ხდება ჯარების გადაჯგუფება. ირლანდიის რესპუბლიკანური ჯარის ორი რაზმი შევიდა ულსტერის ტერიტორიაშია, სადაც ხელთ იგდეს პოლიციის „ბარაკები“ და იარაღები.

გაფიცვა ვიურტენბერგში.

ნიუიორკი 22 მარტი. ვიურტენბერგში გაფიცულნენ ლითონის წარმოების ქარხნების მუშები ერთად ითვლება 80,000 მუშა.

ბრიტანეთის კომპარტიის კონფერენცია.

მოსკოვი 23 მარტი. 16 მარტს ლონდონში გაიხსნა ბრიტანეთის კომპარტიის კონფერენცია. ზინოვიევის მისალმების საპასუხოდ, კონფერენციამ გაგზავნა დეპეშა, რომელშიაც აღნიშნავს თავის გადაწყვეტილებას გააგრძელოს საერთო მუშაობა წინანდელ ენერგიით. კონფერენციაზე მოვიდა 159 დელეგატი. ერთხმად მიღებულია რეზოლიუცია, რომელიც ადასტურებს კომინტერნის თეზისებს მთლიან ფრონტის შესახებ. გაგზავნილ იქმნა მისალმებანი მუშებისადმი, რომლებიც იტანჯებიან ინგლისისა და ამერიკის ციხეებში და საქართველოს მუშებისადმი, რომლებმაც შექმნეს საბჭოთა რესპუბლიკა. ორ დღის საქმიან მუშაობის შემდეგ კონფერენცია დაიხურა ინტერნაციონალის სიმღერით.

ინდოეთში.

ლონდონი 22 მარტი. „დეილი ექსპრესი“ უსაყვედურებს ინგლისის მთავრობას განდის დატუსაღებას. განდის დატუსაღების შემდეგ ინდოეთში ეროვნული მოძრაობის ხელმძღვანელობა გადავიდა ისეთ ელემენტების ხელში, რომლებიც მოკლებული არიან პასუხისმგებლობის და მოვალეობის გრძნობას და რომლებიც ქადაგობენ მხოლოდ აჯანყებას და ძარცვა-გლეჯას.

მაროკოში.

პარიზი 22 მ რ. მადრიდიდან მოსული ცნობების თანახმად, მარკოს დროებით შეწყვეტილია სამხედრო მოქმედებანი, გაზაფხულზე აგრესიული ოპერაციებისათვის მოსამზადებლად.

ანგორა და მესოპოტამია.

პარიზი 22 მარტი. ლონდონიდან იუწყებიან: ქემალ ფაშა აგროვებს დიდ ძალ სამხედრო ძალებს მესოპოტამიის საზღვრებზე.

ეგვიპტეში.

პარიზი 22 მარტი. კიპრში მოხდა სერიოზული საპროტესტო დემონსტრაცია იმ ზომების წინააღმდეგ, რომელიც მიღებულია ეგვიპტის ახალი ხელმწიფის მიერ ზოგიერთ საზოგადო მოღვაწეთა წინააღმდეგ.

ოსმალეთ-საბერძნეთის ომი.

ტრაპეზუნდი 18 მარტი ანგორიდან ოფიციალურად იუწყებიან: კოჯაელის და ესკი—შეხირის მიმართულებით ჩვენი მზვერავთა რაზმებმა დაამარცხეს მტერი და ხელთ იგდეს ტროფეები და ტყვეები.

ლონდონი 22 მარტი. ლორდ კერზონმა იუსუფ-ქემალ ბეის მიღების დროს კითხა მას: მზათაა თუ არა ანგორის მთავრობა დაუყოვნებლივ შეჰკრას დროებითი ზავი ბერძნებთან? იუსუფ-ქემალ-ბეიმ უპასუხა, რომ ამ შემთხვევაში მას არა აქვს ამ საკითხის განხილვის მონდობილობა.

იუსუფ ქემალ ბეისთან ერთდროულად კერზონმა მიიღო კონსტანტინეპოლის მთავრობის წარმომადგენელი იზეტ-ფაშა.

შორეულ აღმოსავლეთში.

ჩიტა 19 მარტი. სახალხო სარევოლიუციო შტაბის ცნობით, სახალხო რევოლიუციონურ ჯარებმა უომრად აიღეს იმან-იმანის ხიდი სწორდება. მოწინააღმდეგეთა ჯარები იხევს სამხრეთისაკენ უბრძოლველად.

რუსეთი

ცარიცინის გუბერნიაში

ცარიცინი. 18 მარტი. სიმშილის სიხადი დადუპვით ემუქრება ყველა ბავშვებს. სახადი იჭრება საბავშო სახლებში და მუსრს აცლებს ბავშვებს. დუტოვკაში გადატვირთვის, სიმშილის და თეთრეულების არ ქონების გამო მარტის პირველ კვირის განმავლობაში სახადით გახდა ავად 22 აღმზრდელი და 94 ბავშვი, „ცინგვთი“ 163 ბავშვი, დანარჩენ ავადმყოფობით—95. თვით ცარიცინში მრავლად თავმოყრილ დამშეულები მართავენ ნადირობას ძაღლებსა და კატებზე. აღნუსხულია რამოდენიმე შემთხვევა, როდესაც დამშეულები, „ნადირებზე“ ნადირობას ადგილს უგარდებოდნენ ქუჩებ. ბაზარ-ბულვარს. სადგურის მოედანი მიმოფანტულია ადამიანის პირთან ხდომა კვნესით.

მარიუპოლის მაზრაში

ხარკოვი. 20 მარტი სიმშილი მარიუპოლის მაზრაში ძლიერდება. ბევრ სოფლებში სიმშილით მკვდართა რიცხვი რამოდენიმე ათასებში გამოიხატება. ცოცხლად დარჩენილებს არ ძალუძთ მკვდართა დამარხვა. მაზრაში მთელ რიგ სოფლების მიერ გამოტანილია რეზოლიუცია ეკლესიების სიმდიდრის დაყოვნებლად მოხმარების შესახებ დამშეულების სასარგებლოდ.

ბერდიანსკის მაზრაში

მოსკოვი. 21 მარტი. ბერდიანსკში გახშირდა შეშლილობა და თვითმკვლელობა სიმშილობის ნიადაგზე. ქალაქის საავადმყოფოში არ ეტევა სიმშილისაგან დაავადმყოფებულები.

ელისავეტგრადის მაზრაში

მოსკოვი. 22 მარტს, არა სრულ ცნობების მიხედვით, ელისავეტგრადის მაზრაში სიმშილობს 53,000 კაცი.

სიზრანში

ხიმბარხკი. 17 მარტი, სიკვდილობა სიზრანში იზრდება. ითვლება 600 დაუმარხავი გვამი.

ჩუვაშის ოლქში

მოსკოვი. 20 მარტს, ჩუვაშის ოლქში 517000 ბავშვიდან აბსოლიუტურად სიმშილობს 175,000 საზრდოობს სხვა და სხვა ორგანიზაციების შემწეობით ას-ოც და ხუთი ათასი. გაზაფხულის დადგომის გამო განზრახულია დახმარების ამერიკულ ადმინისტრაციის და სხვა ორგანიზაციების უფლების რაოდენობა შემცირებულ იქნას ნახევრამდე, რათა შესაძლებელი გახდეს ბავშვების ორჯერ მეტი რიცხვის კვება და შეძლებისადაგვარად შენახულ იქნას დასათესად მიჩნეული თესლი.

ეკლესია დამშეულთა დახმარებლად

ვორონეჟი. 16 მარტი, ვორონეჟის მიტროფანეს სახელობის მონასტერმა გადასდო 60 ფ. ვერცხლი, ნახევარი ფ. ოქრო, 1,000 ცალი ბრილიანტი და დიდძალი რიცხვი მარგალიტის. მონასტერმა გაიდო დამშეულთა სასარგებლოდ მხოლოდ ერთ მეხუთედი საეკლესიო სიმდიდრისა.

ახალი ამბები

— საამხანაგო — დისციპლინარული სასამართლო. ამ დღეებში შესდგა საამხანაგო—დისციპლინარული სასამართლოს სხდომა ამბ. კაჩხოვის თავმჯდომარეობით დასოპინიანის საქსოვი სახელოსნოს საქართნო კომიტეტის საქმის გამო, თავმჯდომარის ამხ მელიქ მურადოვის, მდივნის გრიგორიანის და შრომის დაცვის წარმომადგენლის ამხ. ვართანიანის სახით, რომელთაგან პირველ ორს ბრალი ედებათ ბიროკრატმოქმედებაში, ხოლო უკანასკნელს—თავის მოვალეობისადმი გულგრილათ მოქცევაში.

სასამართლოს დაესწრო დარპინიანის სახელოსნოს 86 მუშა.

ბრალმდებლათ გამოვიდა სარევიზიო კომისიის წევრი ამხ. ტოპილოვსკი, რომელმაც მოახდინა გამოძიება პროფკავშირთა ცენტრალურ გამგეობის დავალებით. გამოძიებით გამოირკვა, რომ, ამხ. მურადოვის ცოლმა მიყიდა თავის ბინაზე იმავე სახელოსნოს მომუშავე ქალს სამი გირ. პური. რევიზიის დროს აღმოჩნდა, რომ მუშებისთვის გასანაწილებელი პურს დააკლდა 2 ნახ. ფუთი პური და ეს დანაკლისი საქართნო კომიტეტმა ახსნა საწყობის გაქურდვით. ამას გარდა შეკრებილი იქნა საწევრო გადასახადები 1 მაისიდან აგვისტომდი 1921 წლის, 131 მუშიდან და დღემდისაც არ არის შეტანილი პროფკავშირთა ცენტრ. გამგეობაში. 20 იანვარს 8 მუშებიდან მიღებულია ექვს-ექვსი ათასი მენეთი მუშკოპში ჩასაწერად და დახარჯულია პირადი საჭიროებისათვის. გარდა ამისა გრიგორიანი შემჩნეული იყო სახელოსნოდან ძაფების ქურდობაში. ვართ ნიანს ბრალი ედება მასში, რომ ის ძლიერ მცირე ყურადღებას აქცევდა მუშებს, რომელნიც იცნობდნენ ასეთ უსირცხვილო ბიროკრატ-მოქმედებებს.

მუშების ჩვენებით ყველა ბრალდებები დამტკიცდა და ამიტომ სასამართლომ დაადგინა: მურადიანი და გრი

გორიანი, როგორც ულირსნი ბროშკა-ვშირის წევრობის სახელის ტარებისა, გამორიცხულ იქნენ ერთი წლით კავშირიდან და დათხოვილ იქნენ. მათ მიერ დახარჯული ფული დაეკავოთ იმ თანხიდან, რომელიც მათ ერგებათ დაწესებულებიდან, ვარიანიას წაერთვას უფლება 3 თვით მუშათა კრებებზე დასწრებისა და რაიმე თანამდებობაზე ამორჩევის უფლება, ამავე ვადით.

— **საფონდო ბირჟა.** 23 ს 24 მარტს საფონდო ბირჟაზე უცხო ვალიუტის კურსი გამოიხატება შემდეგში: (ათ მან.)

ოსმალ. ლირა ოქრო	835
ლირა ოსმალ. ბანკნოტ.	180
ამერიკ. დოლლარი	250
სტერ. ინგლი. ბანკნოტ.	950
ამერიკ. დოლ. ბანკნოტ.	250

მოთხოვნილება დიდია უფრო ოსმალურ ლირისა და დოლარის. წინადადება სუსტია.

— **ფახი წყალსა და ელექტრონზე.** ტფილისის აღძასკომის პრეზიდიუმმა განიხილა ამხ. ბაქრაძის მოხსენება მუშებსა და მოსამსახურეებზე კომუნალურ სამსახურისათვის მთლიანი ტარიფით ფასის გადახდევინების წესის შესახებ და დაადგინა: გადახდეს მუშებსა და მოსამსახურეებს ფასი წყალისა და ელექტრონზე საერთო საფუძველით—წყალსადენის ინგარიშებით—1 იანვრიდან და ელექტორის—1 მარტიდან.

— **ხაჭართველოს ნავთსადგურში.** 21 მარტს ბათომს მოვიდა 2 იალქნიანი გემი 60 ფუთი სხვა და სხვა საქონლით. იმავე დღეს ნავთსადგურიდან გავიდნენ: იტალიური გემი „კორვ ნ“ და „ალდო“ სტამბოლში სხვა და სხვა საქონლით 160 ტონისა და 60 მგზავრით და 5 იალქნიანი გემი 1520 ფუთი ფქვილით. საერთო რიცხვი ნავთსადგურში მყოფ გემებისა ღამის 12 საათისთვის 21 მარტს იყო: გემები—5 და იალქნიანი—51. ფოთში 20 მარტს სოხუმიდან მოვიდა რუსეთის გემი „ალორძინება“ 440 ფ. საქონლით და 115 მგზავრით. იმავე დღეს ნავთსადგურიდან გავიდენ ბათომისაკენ გემი „ალორძინება“ და ქართული „ცხენის-წყალი“.

— **ტფილისის აღმასკომში.** ტფილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა საფინანსო-სამეურნეო კომისიის თავმჯდომარის ამხ. თედო ღლონტის მოხსენებით ქალაქის საფინანსო მდგომარეობის შესახებ და მის პერსპექტივებზე დაადგინა: ძოხსენება მიღებულ იქნას, შეტანილ იქნეს. შესაფერი მოხსენება სახკომისართა საბჭოში და ეთხოვოს: 1) ვალდებული ჰყონ ყველა საზოგადოებანი, სახელმწიფოებანი და საამხედრო დაწესებულებები გადაიხადონ ფასი სა 1921 წ. 1 ნოემბრიდან კომუნალური სამსახურისათვის, როგორიც არის მაგ., წყალი, ელექტრონი და სხ. 2) საასწრაფოთ მოწესრიგებულ იქმნეს სარკვისაგზო ტარიფი და 3) წინადადება მიეცეს სახალხო ბანკს გახსნას სასწრაფოთ, პირველ რიგში, 10 მილიარდიანი კრედიტი 6 თვით: ამ საკითხის გაანხილვის დროს. სახ. კომისართა საბჭოში, ეკთხოვოს მოწვეულ იქნენ არქიის უფროსი ამხ. ეგოროვი და გარნიზონის უფროსის მოადგილე ამხ. მელნიკოვი.

— **შრომის დაცვა.** შრომის დაცვის განყოფილებამ სახ. პროკ. კავშირთა საბჭოსაი შეიმუშავა პროექტი დეკრეტასა, რომელითაც შრომის დაცვის და სოციალური დაზღვევების კანონები გავრცელებული უნდა იქნენ იმ პირებზეც, რომელნიც დაქირავებული შრომას ეწევიან სამხედრო დაწესებულებებში.

— **ამერიკელები-დამშეულებს** ახლო აღმოსავლეთის დახმარების ამერიკის კომიტეტმა შემოსწირა საქართველოს დამშეულთა სასარგებლოდ 2 ვაგონი სიმინდი (1500 ფ.) დამშეულთათვის დასარიგებლად მთავარ კომიტეტის შეხედულებით და ამერიკული კომიტეტის წარმომადგენლის დასწრებით.

— **შემოწირულებანი შეკრეფა.** მთავარი კომიტეტი შეუდგა შემოწირულებათა აკრეფას ვაჭართა შორის დამშეულთა დასახმარებლად.

— **დეს-მონოვის მიეფანა.** სანიტარული ტექნიკურ-აღმშენებელი ქვე-განყოფილება კომუნალური მეურნეობისა შეუდგა დესიმონოვის მოედნის რადიკალურ გაწმენდას, რომელიც 3 წელი არის, რაც არ გაწმენდილა. ყოველდღიურად ამ საქმეზე მუშაობს 25 მუშა და 12 ცხენიანი ურემი. მუშაობა ერთ კვირის განმავლობაში დამთავრდება.

— **წყალსადენი.** აღჭალის ქალაქის წყალსადენის სადგურზე შეუდინენ 200,000 ვედრო წყლის გადაქაჩვის მოწყობას, რომელიც დააკმაყოფილებს სადგურის მოთხოვნილებებს. ამის გამო შემცირდება სადგურის მიერ 200,000 ვედრო წყლის მოხმარება საერთო ქალაქის მაგისტრალიდან. ამით ტფილისისთვის წყლის მიწოდება გადიდდება 200,000 ვედრო წყლით ყოველდღიურად. ამის მიწყობა 150,000,000 მან. ჯდება.

——

პარტიული ცხოვრება

შორაპნის მაზრაში პარტიული მუშაობა დაიწყო ამ ოთხი თვის წინად, ამხ. სერგო ამაღლობელის ლექციის შემდეგ, რომელმაც საფუძველი ჩაუდო სამაზრო კომიტეტს და მომავალ მუშაობას.

სამაზრო კომიტეტის შექმნის შემდეგ ახლო მომავალში იწყებოდა საბჭოთა არჩევნები; კომიტეტს ძლიერ ცოტა დრო დარჩა სამზადისისათვის და ვერ შესძლო ყველა თემების მოვლა, მიუხედავათ ამისა ზოგიერთ თემებში შევსძელით მაინც გაგვეყვანა ჩვენი პარტიული ამხანაგები.

საბჭოთა არჩევნების დამთავრების შემდეგ, კომიტეტი შეუდგა პარტიულ მუშაობას რაიონებში. ჯერ-ჯერობით უსახსრობა ძლიერ გვიფერხებს მუშაობას, მაგრამ მომავლისათვის იმედი გვაქვს მდგომარეობა გაგვიუმჯობესდება ამ მხრივ. სამაზრო კომიტეტი შეუდგა სამზადისს, რამოდენიმე დაბებში საღამოების გასამართავათ და იმედი გვაქვს შემოსავალი საგრძნობ დახმარებას გაგვიწევს. საამაზრო კომიტეტი დროებით გადატანილია დ. შორაპანში; მიზეზი ამისა ოთახის უშოვლობა იყო ქ. ზესტაფონში, ახლო მომავალში კი განზრახულია სამაზრო კონფერენციის მოწვევა და იმ დღისათვის კომიტეტის გადმოტანა ზესტაფონში და საზეიმო გახსნა.

აქტიური წევრები მემარც. სოც.-ფედ. სარ. პარტიის მაზრაში აღწევს 120-მდე. მრავალი უბნებია, სადაც არიან ამხანაგები, რომლებიც დღესაც გამოურკვეველნი არიან თუ, რომელი ფრთა რა გზაზე ადგია, რის გამოც ითხოვენ ამხანაგების გაგზავნას ახსნა-განმარტებისათვის. როდესაც მთელ მაზრას შემოვიართ წევრთა რაოდენობა საგრძნობლათ გაიზრდება.

მოსწავლე ახალგაზდათა შორის ლტოლვილება ჩვენი პარტიისადმი დიდია, მხოლოდ საჭიროა მათი პარტიული მომზადება, ამისთვის კი ლიტერატურა სრულიად არ მოგვეპოება. რამოდენიმე მოწაფე-ახალგაზდა გაყვანილია საბჭოებში.

სამაზრო კომიტეტის შემადგენლობა შემდეგია: თავმჯდომარე—ამხ. ტრიფონ ჩუბინიძე, ამხანაგი—ამხ. აკაკი ქამუშაძე, მდივანი—ამხ. გ. საყვარელიძე და მოლარე—ამხ. შ. გაჩეჩილაძე.

ტონი.

მოწერილი ამბები

ქ. **ზესტაფონი.** შორაპის მაზრის მცხოვრებთა დამშევამ ზესტაფონს უნუგეშობის ელფერი დაადო. უსაშველო სიძვირე, რომელიც ერაფერით არ ჩამოუვარდება ტფილისის სიძვირეს ზოგიერთხელ მეტიცაა, დაგლეჯილ-დაფლეთილი გლეხები ტომრებით ხელში. ხუთი-ექვსი დღე სიმინდისათვის მოხეტიალენი და ამავე დროს კვირა-პარასკევობით საყოველთაო ქეიფი, სიმთვრალე, სიმღერა ბაზარში, ქუჩაში, სახლში—მოგაგონებთ პუშკინის ნაწარმოებს „ლხინს ქამიანობის დროს“.

მოვიდა დამშეულთათვის ორი ვაგონი სიმინდი, მაგრამ მთხოვნელთა რიცხვი უთვალავია და რას ეყოფა ეს ორი ვაგონი ასი ათას სულზე მეტ დამშეულთ. თითოეულ მთხოვნელს უბდება ხუთი-ექვსი დღე სიმინდის აღებისათვის ხეტიალი და შემდეგ თუ ბედმა უმტყუნა შეძლება ვერც კი მიიღოს და ხელცარიელი სახლში დამშეულთან გაემგზავროს.

გლეხობა იმედებით სცხოვრობს: ელიან კიდევ სიმინდს, მაგრამ დაბეჯითებით ჯერ არავინ იცის მოვა თუ არა.

შაბიამანიც ხომ ჯერ-ჯერობით არ მოიპოვება, მომავალში კი ვინ იცის მოიტანს მთავრობა თუ არა ხელმისაწვდომ ფასებში მას და თუ არ მოიტანა გლეხობა სრულიად განადგურდება მომავალ წელში. კიდევ იმითი სულდგმულობენ, რომ წელს დვინო ხოუვიდათ, რომელსაც ათასნაირად აწვალებენ სიმინდში გადასაცვლელათ და ან თუ ისე გაჰქვთ თავი. თუ დვინოც აღარ მოვიდა საშინელი სურათი სიმშილობისა დაგვიდგება წინ.

სიმშილმა წვრილი ქურდობა ძლიერ განავითარა. დამშეული-დამშეულს ჰპარავს, რაც მოხვდება ხელში—ქათამს, ღორს, დვინოს, სიმინდს, ხეს, ჩალას და სხვ. ერთ გლეხისაგან ათ ფუთიანი მჭედელის გდემლი მოეპარათ და გურიაში სიმინდზე გადაეცვალათ.

დიდმა ავაზაკობამაც იჩინა თავი: გაძარცვეს სწრაფი მატარებელი. გამოძიება სწარმოებს, მაგრამ ერთი კვირის მუშაობას ჯერ არაყოთარი გარკვეული შედეგი არ მოუტანია.

ალბად ამ სიმშილმა ასწავლა ჭკაური ზოგიერთ ყმაწვილებსაც მსახიობობა. ნახევარი წლის განმავლობაში სდგომდა ზესტაფონის თეატრი, შენობის უქონლობისა გამო. როგორც იქნა შენობა შეკეთდა და საზოგადოება ელირსა გაზაფხულის სეზონის გახსნას. ზესტაფონის თეატრი მუდმივ დაბეჩავებული, უნიადაგო, უშინაარს—შენობის გაუხლებამ, ახალმა დეკორაციებმა, ძველი სენისაგან ვერ განკურნა და სეზონის გახსნამ ნათლად დაგვანახვა მთელი თავისი დღევანდელი უშინაარსობაც.

სეზონის გახსნას მიეალმა ამხ. სიმონ წეველი, რომელმაც საზოგადოებას გააცნო პროლეტარული თეატრის და ხელოვნების მნიშვნელობა მომავალში. აღნიშნა, რომ დღეიდან საფუძველი უნდა ჩაყროდა ეგეთ თეატრს და ხელოვნებას.

მაგრამ სიტყვა-სიტყვათ დარჩა საქმემ კი დაგვანახვა, რომ თეატრი ზესტაფონისა სუსტია როგორც ძალებით, ისე მინაარსით, არამც თუ პროლეტარულისათვის, არამედ ბურჟუაზიულისათვისაც კი.

სეზონის გახსნისათვის ამოერჩიათ პიესა „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ და ძართლაც რომ ეს პიესა საინტერესო იყო როგორც სეზონის გასახსნელი მასალა კი არა, არამედ როგორც ერთ ერთი დევიზი ზესტაფონის თეატრისა, მხოლოდ პატარა შესწორებით, რაც არ ძინაარავს ამ თეატრში ამა დღეს რა უნდა ვნახოთ.

პიესის მდაბალი ხარისხი, მოთამაშეთა—უთამაშობა—აი ის დეფექტები, რომელთა მატარებელი იყო თეატრი ამ დღეს.

როგორც გავიგეთ კვლავ ეგეთი პიესებით სურთ გაგვიმასპინძლდენ და ეგეთი თამაშით გაგვართონ ადგილობრივმა მსახიობებმა. ჩვენი წრფელი ჩევა—თუმცა სიმშილია, მაგრამ მაინც ნუ გავბდით თეატრს თავის სარჩენ დეტნათ, თუ შეგწევთ ძალა გვასარზდოთ სულიერად შინაარსიან პიესების დადგმით და სათანადო თამაშით, თუ არა და სჯობიან ისევ დუმილი, ვინემ სახელის გატეხა საზოგადოთ თეატრის, პიესისა და საკუთარ თავის.

ტონი.

თეატრი ს ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა

„თავადი იგორი“

მარტის 18 ოპერისთვის დიდი დღეა როგორც დიდი დღეები აქვს პარლამენტს მწვავე საკითხის გარჩევის დროს.

განახლებულ იქნა, და უნდა ითქვას საქმის დიდი ცოდნით და სიყყარულით რუსული საოპერო მუზის საუკეთესო ნიმუში, ბოროდინის „თავადი იგორი“.

ამ ოპერაში კარდინალური მნიშვნელობა დათმობილი აქვს ორკესტრს, უკვე უვერტიურა წარმოადგენს ცალკე, დამოუკიდებელ სიმფონიურ ნომერს. რა შესამჩნევი მუსიკალური ილიუსტრაციაა. უვერტიურაში მოხდენილად არის აღებული ოპერის ყველა განსაკუთრებული ადგილები. აქ არის ალელვებაც მზის დაბნელების დროს, თავადი იგორის სევდა პოლოველებთან ტყვეობაში, პოლოველების ცხენთა ჭენება, იგორის ჯართა მოძრაობა. ყველა ეს შესანიშნავად არის ორკესტრში გატარებული. ერთი სიტყვით დიდებული გენიალური მუსიკაა. შემდეგ დამახასიათებელია სახალხო სცენა ვლადიმერ გალიცკისთან, აქ რამდენი ბუნებრიობაა. შემდეგ შიში და სევდა იაროსლავნის-ერთგული ცოლის და მეგობრის (პირველი არიოზო და ტირილი). განა გენიალობა არ არის ეს გადასვლა რუსულ მუსიკიდან აღმოსავლეთურზე (კონჩაკოვნის არიოზო სიმღერა პოლოველ ქალწულის) და შემდეგ სამხუნიაზე (პოლოველთა ბინა), რა კარგია იგორის არია (არც ძილი, არც მოსვენება) სავსე სევდით და ლირიული მოგონებებით საყვარელ ცოლზე. ვლადიმერ იგორის ძის კავატინა და შემდეგ მისი დუეტი კონჩაკოვნთან? იაროსლავნის ტირილი? რამდენი სილამაზეა მათში. მცხოვრებთა პოლიფონიური ხორო? დიალ, უხვი ხელით არის გაბნეული მუსიკალური სილამაზე ბაროდინის ერთადერთ გენიალურ ოპერაში (ბოროდინი ახლო ნათესავია გედევანიშვილების),

რაც შეეხება შემსრულებლებს, პირველი ადგილი ეკუთვნის მოქ. სტოლერმანს, რომელმაც დასრულებული მხატვრობით შეასრულა ძნელი საორკესტრო პარტიტურა. მთელი მელოდიური სურათი გადმოგვცა ნათლად, რელიეფურად, დიდი ტემპერამენტით. მხოლოდ მე ვფიქრობ, რომ უვერტიურაში იგორის არიის მათემა სრულდება უფრო ჩქარ tempo-ში. დიდი enbraio-თი მიყავს მოქ. სტოლერმანს ცეკვა პოლოველთა ბანაკში, რამაც ხელი შეუწყო მოქ. მორდვინის და მის ბალეტის გამარჯვებას. ბალეტი მორდკინის მიერ შესანიშნავად იქნა დადგმული როგორც ცალკე, ისე საერთო ორკესტრმა და ბალეტმა ამ სურათში მოგვცა საკონცერტო შესრულება. ყველა კარგათ თამაშობდა, ბევრი ბრწყინვალება, ტემპერამენტი იყო (ისევ პოჟიცკაია, ანოპოვა, სემიონოვა, ლეონოვა, თვით მოქ. მორდკინი). აქ გატაცებით თამაშობდა კორდებალეტიც უნდა ითქვას სიმართლე, რომ მორდკინმა ბალეტი ღაყენა ტფილისისთვის უჩვეო სიმაღლეზე.

სოლისტებიდან კარგია მოქ. დროზდო-პოლიაევი (იგორი), პირველ გამოსვლიდან იმღერის ჩაფიქრებით, მუსიკალურად. იძლევა რუსულ მთავრის ტიპს.

დამახასიათებელ სახეს იძლევა მოქ. საბინინი. შესრულების დიდი ღირსება არის ის, რომ მომღერალი ბოლომდის იძლევა ერთ სახეს, შარჟში არ ვარდება-

კონგჩაკი მოქ. ისეკის შესრულებაში, როგორც ცოცხალი, მხოლოდ ცოტა გაკეთილშობილებულია. მაგრამ ველური კონგჩაკისთვის უცხო არ არის კეთილშობილება და ეს შესამჩნევად ასახა მოქ. ისეკიმ. ერთადერთი, მაგრამ დიდი და ძნელი სცენა კონჩაკისა კარგათ ჩაატარა.

იაროსლავნას მღერის მოქ. მანდენოვა. ახალგაზდა მომღერალი ქალი ვოკალური მხრით თანდათან სრულ სახეს იღებს, თანდათან თავისულფლად განაგებს თავის ხმით, რომელიც კარგ რეგისტრებად ერევა ერთმანეთს. (ნამდვილი დრამატიული სოპრანო). ადასანიშნავია პირველი სცენა, არიოზო (ძილი). აქ ყველგან მეტად მაღალი ტესიტურაა, რომელსაც მომღერალი ადვილად ერევა. კარგია ლირიული ადგილებიც,

სამწუხაროთ დრამატიული მხარე—პირველყოფილ მდგომარეობაშია. მსახიობი ნაკლებ განიცდის იმ ამბებს მის გარშემო რომ ხდება. სცენა იგორთან (გამოთხოვება) და უფრო მეტად სცენა უკანასკნელი შეურაცყოფს იაროსლავნას—ტრაფარეტს არ შორდება.

ამას გარდა საჭიროა მეტი ჩაფიქრებით მოეკიდეს მიზან სცენებს, ძნელი გასამართლებელია, ძვირფასი ქვებით მოჭედილი ტანისამოსის ჩაცმა უკანასკნელ აქტში. როცა იაროსლავნა გლოვობს ქმრისა და ნათესავების დაღუპვას. საჭიროა იქნეს „მორჩილი“ სამგლოვიარო ტანსაცმელში და არა ბრილიანტებით მორთულში. მაგრამ აქ მეტი ბრალი ედება რეჟისორს.

ბნელ ლაქებათ დადგმის თეთრ ფონზე იყო მოქ. მოლჩანოვის (ვლადიმერ იგორის ძე) და მოქ. ერმოლინსკაიას (კონჩაკოვნა) ოპერაში მონაწილეობა. ეს პარტიები ითხოვს ხასიათს და საუკეთესო ხმის საშვალებებს ვიდრე აქვს ზემოაღნიშნულ მომღერლებს—მოქ. მოლჩანოვმა კიდევ არ მიატოვა თავისი ზნე—ხმის ფორსიროვკა ფრაზის შუაში, რაც აქ სრულიად უადგილოა. კავატინა შესრულებულ უნდა იქნას ლირიულად, კარგი ფრაზიროვკით, მუსიკალურად. ეს კავატინა ოპერის საუკეთესო ფურცელთაგანია, მოლჩანოვის შესრულებაში სრულიად დაიკარგა.

ასევე ცუდათ იქნა შესრულებული კონჩაკოვნას არიოზი მოქ. ერმოლინსკაიას მიერ. არ იყო არც მუსიკალობა, არც აღმოსავლეთური ვნება, არც რითმი, ტექნიკაც განუვითარებელი აქვს.

ტიპიური სახეები მოგვეცეს (სკულა და მიროშკა) მოქ. დემიანენკომ და კურბატოვმა.

ოვლურის პარტია თუმც ეპიზოდიურია მაგრამ მუსიკალობას მოითხოვს. მოქ. გუდიმ-ლევკოვიჩმა საჭიროა ბევრი იმუშაოს ამ პარტიაზე და ნაკლებ აღელდეს. კარგია ხორო, განსაკუთრებით ქალების, ხორო a kapella ასცდა მელოდიას და ფალშით დაამთავრა.

კარგია მთელი დადგმა მიზანსცენის, ჩაცმულობა, დეკორაციები, იაროსლავნის ბინის გარდა.

პ. ბ.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი

განცხადება

ტფილისის აღმასკომის საფინანსო-საგიუჯეტო კომისია ქალაქის დარაგების მოჯარადრეთა საყურადღებოდ აცხადებს.

რომ უკანასკნელი ვადა ამა წლის თებერვლის და მარტის თვეების საიჯარო ფულის შეტანისა დანიშნულია ამა წლის მარტის 15 დან 25-მდე, რისთვისაც წინადადება ეძლევათ მოიჯარადრეთ დროზე იზრუნონ ფულის შეტანაზე, უკანასკნელ შემთხვევაში მოიჯარადრეებს დარაბები სრულიად ჩამოერთმევათ.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია.

განცხადება

სამკერვალო ქალთა და ბავშვთათვის.

უკანასკნელ გამოსულ ევროპიულ ჟურნალების მიხედვით „მეერეშკის“ და ოთველგვარი საქარგავის გაკეთება.

იქვეა მოთავსებული ქუდის სახელოსნო ქალთა და ბავშვთათვის.

ყოველივე საგნები ხელსაყრელ ფასებში და პასუხისმგებლობით იქნება შესრულებული.

აგრეთვე ვიყვანთ მოწაფეებს.

ჩხოპაძე და ბურუსიძე. მისამართი: ელისაბედის ქუჩა № 120.